# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 ნოემბერი 2008 №262 (3486) ფასი 50 თეთრი


## საპასუხომდეც თითქმის გადაწყდა
# თასის ფინალი სხვა იქნება
## მიჯრით მეოთხე ამერი — ზესტაფონს წყალი რუსთავში შეუდგა



„სიონმა“ „ლოკომოტივი“ ამ გოლით დაამარცხა



## საჭადრაკო ოლიმპიადა გვიან, მაგრამ მაინც გაახსენდათ

8

# ერთი ნაბიჯი მედლამდე
## ორი საელჩომ, ერთიც თურქმა გაგვილახა

ლივერპულში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები ორი მოკრივით ჩხუბობს, უფრო ზუსტად კი ჩხუბობდა, რაკი ტურნირს მხოლოდ ერთი ჩვენი მოკრივე შემორჩა.

შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთის საელჩომ ორ ქართველ მოკრივეს, ლევან ღვამიჩავას და პეკინის ოლიმპიადაზე ნაჩხუბარ კახა ჟვანიას ვიზებზე უარი უთხრა. ქართული დელეგაცია საერთოდ არ აპირებდა ალბიონზე გამგზავრებას, მაგრამ კარგ ფორმაში მყოფ კობა ფხაკაძეს (60კგ) და რევაზ ქარელიშვილს (81კგ) ანგარიში გაუწიეს...

ამჟამად ტურნირს მხოლოდ კობა ფხაკაძე შემორჩა. მან პირველ წრეში დაისვენა. მეორეში დაძაბულ ორთაბრძოლაში სომეხ პულუზიანს 7:6 მოუგო და რვა საუკეთესო მოკრივეს შორისაა. ფხაკაძეს მომდევნო ჩხუბი უნგრელ მიკლოშ ვარგასთან ელის და მისი დამარცხების შემთხვევაში, სულ მცირე ბრინჯაოს მედალს გაინაღდებს.

რევაზ ქარელიშვილი კი პირველივე შეხვედრაში ვერაფერს გახდა თურქ ბაჰრამ მუზაფერთან. თურქმა რევაზს 6:3 მოუგო.



## ჯოკერმა დავიდენკოც გაქრა
### ჯოკოვიჩი ოქროს ჯგუფის ოქროა

11

# ბავშვთა ფესტივალი: აქ ყველა მოგებულია



ნიკა დოლიძე და გრიგოლ ცაავა

**ხშირად** გაიგონებთ, ქართულ ფეხბურთში ერთ-ერთი ყველაზე პრობლემატური ბავშვთა აღზრდაა, ბავშვთა ფეხბურთი წესრიგშია მოსაყვანი და მეტ ყურადღებას საჭიროებსო. ცნობილია, საფრანგეთის ნაკრებმა 90-იან წლებში ევროპა-მსოფლიო რომ დაიპყრო, ეს დიდწილად სწორედ ბავშვთა ფეხბურთში წლებით ადრე ჩაქსოვილი მუშაობის შედეგიც იყო — 70-იანი წლების დასაწყისში, როცა საფრანგეთი ევროპის საშუალო ნაკრების დონემდე იყო დასული, სწორედ მაშინ დაიწყეს ამაზე ზრუნვა.

8 ნოემბერს საქართველოში პირველი ბავშვთა საფეხბურთო ფესტივალი დაიწყო, სადაც ტურნირი ორ ასაკში (1999 და 2000 წლებში დაბადებულები) მიმდინარეობს.

ფესტივალს თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ატარებს სფფ-ისთან ერთად.

ამ ფესტივალთან დაკავშირებით გუშინ „მიხეილ მესხის" საპრესკონფერენციო დარბაზში პრესკონფერენცია მოეწყო — ჟურნალისტებს თფფ-ის პრეზიდენტი და სფფ-ის ვიცე-პრეზიდენტი გრიგოლ ცაავა და თფფ-ის გენერალური მდივანი ნიკა დოლიძე გვესაუბრნენ.

*გრიგოლ ცაავა:* „ფესტივალი მასშტაბურია და მასში 1000-მდე ბავშვი იღებს მონაწილეობას. ჩვენი ქვეყანა გარკვეულ სიძნელეებს განიცდის, მაგრამ საქართველოში ყოველთვის იბადებოდნენ და დაიბადებიან ტალანტები, რომლებიც დიდ ფეხბურთს ითამაშებენ. ამისთვის მათ გეზის სწორად მიცემა სჭირდებათ.

...ტურნირი საკმაოდ საინტერესოა და მადლობას ვუხდით ყველას, ვინც თბილისის ფეხბურთის ფედერაციას მის ჩატარებაში გვერდში ამოუდგა. ფესტივალზე არ არსებობს წაგებული. ეს ზეიმია, თითოეულ ფეხბურთელს დაურიგდება მედლები, რომლებიც სპეციალურად გერმანიაში დავამზადებინეთ."

*ნიკა დოლიძე:* „გრიგოლ ცაავას სათავეში მოსვლის შემდეგ თბილისის ფეხბურთის ფედერაციამ პრიორიტეტად ბავშვთა ფეხბურთი აირჩია. ფესტივალი ძალიან საინტერესოდ მიმდინარეობს, მასში ფოთის, სენაკის, სამტრედიის, ოზურგეთის, ლაგოდეხის, გორის, თერჯოლის, ბოლნისის, ქუთაისის და თბილისის თითქმის ყველა საფეხბურთო სკოლა გამოდიან.

...გვიხარია, რომ ბავშვები მონდომებულები არიან. ცუდი ისაა, რომ ზოგჯერ მშობლები ერევიან-ხოლმე მატჩის მსვლელობაში და გაწევა-გამოწევაზეც კი მიდის საქმე.

...ამ ტურნირის ჩატარება სექტემბერში გვინდოდა, თუმცა ქვეყანაში შექმნილმა საომარმა მდგომარეობამ საშუალება არ მოგვცა. სამაგიეროდ, გადაწყვეტილია, რომ ფესტივალი წელიწადში ორჯერ ჩატარდება — გაზაფხულზე და შემოდგომაზე.

...აღსანიშნავია, რომ მედლების გარდა ბავშვებს დაურიგდებათ ბურთები და სხვადასხვა საფეხბურთო ატრიბუტიკა."

დღეს კი ფინალური მატჩებია: ჯერ 2000 წელს დაბადებულებში გაიმართება გადამწყვეტი მატჩი, მერე კი 1999-ში დაბადებულებში, რომელსაც საზოგადოებრივი მაუწყებელი პირდაპირ ეთერში გადასცემს.

ფინალური შეხვედრები „მიხეილ მესხის" სტადიონზე გაიმართება და 17:30 საათზე დაიწყება. ნიკოლოზ დოლიძემ გვითხრა, ფინალებზე 4-5 ათას გულშემატკივარს ველოდებით, ამხელა დასწრება კი ეროვნული ჩემპიონატის თამაშებზეც სანატრელიაო.

**ილია ნანობაშვილი**

# ტარიელი, ზაური, გელა, ლიანა...







**კითხვაზე,** ვინაა ალან ძაგოევი, შარშან მხოლოდ მისი ოჯახის წევრები, ნათესავ-მეგობრებ-ახლობლები თუ გაგცემდნენ პასუხს. დღეს კი მისი სახელი რუსეთში ქუხს! ალან ძაგოევი მოსკოვის ცსკა-ს 18 წლის ფორვარდი და რუსული ფეხბურთის იმედია — მას „ბესლანელ ფენომენსაც" უწოდებენ.

ეს ის ძაგოევია, ერთი თვის წინ გერმანია — რუსეთის მატჩის მეორე ტაიმში რომ შეიყვანეს და მასპინძელთა დაცვა შავ დღეში ჩააგდო, ბოლოს კი ძელსაც გაარტყა ბურთი. ძაგოევი წლეულს სამარის „კრილია სოვეტოვის" დუბლებიდან აიყვანა ცსკა-ს თავკაცმა ვალერი გაზაევმა და ბიჭმაც ბოლო 18 მატჩში 13 გოლი შეაგდო!

მაგრამ იყო შანსი, ძაგოევს დღეს საქართველოს ნაკრებში ეთამაშა. ფეხბურთელის ბიოგრაფიაში იმდენ საინტერესოს აღმოაჩენთ...

ალან ძაგოევის მამას პასპორტში ელიზბარი უწერია, ისე კი, ყველა ტარიელს ეძახის. ტარიელის ძმა ზაური გახლავთ, ხოლო მეუღლის, სახელია ლიანა. ალან ძაგოევის უფროს ძმას კი გელა ჰქვია...

და აი, ყველაზე საინტერესო: ტარიელ ძაგოევი კახეთში, სოფელ ფიჩხოვანში დაიბადა და გაიზარდა. ეს სოფელი ახმეტის რაიონშია, პანკისის ხეობასთან ახლოს.

ტარიელმა ლიანა საქართველოში შეირთო ცოლად და პირველი შვილი, გელა, სწორედ ჩვენს ქვეყანაში დაიბადა 1987-ში.

ეს ყველაფერი რუსული პრესიდან შევიტყვეთ. აი, ტარიელის სიტყვებიც: „1989 წელს საქართველოდან წამოვედით და ბესლანში დავსახლდით. ალანი სწორედ ბესლანში დაიბადა (1990-ის 17 ივნისს). ეს ბოლო წლებია, ვლადიკავკაზში ვცხოვრობთ".

აქ, რუსი ჟურნალისტი აკეთებს ჩართვას, თუმცა, ცხადია, ალან ძაგოევის მამის მონაყოლის მიხედვით: „ტარიელი დაიბადა საქართველოში, სადაც ფეხბურთი უბრალოდ სპორტის სახეობა კი არა, რელიგიაა. მას ძალიან უყვარდა ფეხბურთი, თუმცა პროფესიულ დონეზე არ უთამაშია. სამაგიეროდ, მისი უმცროსი შვილი გაჰყვა ფეხბურთს და დღეს რუსეთში ერთ-ერთი საუკეთესოა.

...ტარიელი და მისი ოჯახი 1989 წლის მიწურულს წავიდა საქართველოდან. მართალია, ამას გაქცევა არ ერქვა, მაგრამ ტარიელს სამსახურში ხშირად ახსენებდნენ, 9 აპრილის პერიოდში ოსები თბილისის მთავრობის სახლთან რატომ არ იდექითო".

ახლა კი უფრო შთამბეჭდავ ამბავზე: ალან ძაგოევს ფანებმა პერსონალური საიტი გაუხსნეს, სადაც მისი დაბადების მოწმობის ფოტოა ჩადებული. ალან ზაგოშვილი — დიახ!

„ტარიელი და ლიანა ძაგოევის ქართულ ვარიანტს, ზაგოშვილის გვარს ატარებდნენ. როდესაც ოჯახი ბესლანში გადავიდა, ალანის მშობლები ბევრს ეცადნენ ნამდვილი გვარის დაბრუნებას, მაგრამ ეს 2000 წელსღა მოახერხეს. ბესლანის №4 სკოლის მასწავლებლები კი იხსენებენ, რომ ალანს ძალიან სწყინდა, ძაგოშვილს რომ ეძახდნენ. ის ყოველთვის ამბობდა: „ზაგოშვილი კი არა, ძაგოევი. მე ხომ ოსი ვარ"...

ამგვარად, ალან ძაგოევის დედმამა საქართველოში რომ დარჩენილიყო, ვინძლო, ამ ბიჭის სახით ჩვენ გვყოლოდა ამომავალი ვარსკვლავი. თუმც ძაგოევი ერთადერთი შემთხვევა არ არის — უბრალოდ, დღეს მასზე გვაქვს ლაპარაკი, როგორც გამორჩეულ ტალანტზე...

და ერთიც ვთქვათ: მას 5 სექტემბრის რუსეთ — საქართველოს 21-წლამდელების მატჩში არ უთამაშია, მიზეზად კი ტრავმა დასახელდა. ამან ეჭვები გამოიწვია, რამე სხვა მიზეზით ხომ არ შეიკავა თავი ფეხბურთელმაო...

**ილია ნანობაშვილი**

### ავსტრია

**ბუნდესლიგა**

ავსტრია 2:0 რაპიდი

**I ლიგა**

ადმირა 3:0 ზალცბურგი (მ)
ლუსტენაუ 2:0 ზტ. პოლტენი
გრატკორნი 1:3 ნოიშტადტი
ტიროლი 2:4 ავსტრია (ლ)
ლეობენი 2:0 გრიოდიგი
ფიოკლაბრიუკი 1:0 ავსტრია (მ)

### ბელგია

**თასი**

სერკლი 2:1 მოლ-ვეზელი
დენდერი 3:1 დესელი
ტურნჰუ 1:4 რუზელარე
ლოკერენი 2:1 დიეგემი
მონსი 0:2 ლიერსი
ოსტენდე 0:1 ვარეგემი
ანდერლეხტი 3:1 ტურნე
მუსკრონი 3:1 ტუბიზე
გენკი 6:0 სერესიენი
გენტი 3:0 ლევენი
კვსკ 1:2 ვესტერლო
მეხელენი 4:2 ველდვეზელტი

### გერმანია

**ჩრდილოეთ რეგიონალლიგა**

კაიზერი (მ) 3:1 ლოტე

### ინგლისი

**I ლიგა**

ლესტერი 1:0 იოვილი

**ასოციაციის თასი**

არსენალი 3:0 უიგანი
დერბი 2:1 ლიდსი
სტოკი 2:0 როტერჰემი
სუონსი 0:1 უოტფორდი
მანჩესტერი 1:0 ძპრ

### უკრაინა

**თასი**

ოლექსანდრია 1:2 შახტარი

### საბერძნეთი

**თასი**

ილისიაკოსი 1:2დ.დ. აეკ

### შოტლანდია

**პრემიერლიგა**

აბერდინი 2:0 სტ. მირენი

### საფრანგეთი

**ლიგის თასი**

სოშო 0:1დ.დ. ლანსი
ბორდო 4:2 გენგამი
მონპელიე 1:2 შატორუ
ნიცა 3:0 კრეტეი
ვანი 2:0 ოსერი
ლიონი 1:3 მეცი

### ჰოლანდია

**თასი**

აპელდორნი 2:3 დორდრეხტი
ექსელსიორი 2:0 დენ ბოსხი
ნაიმეგენი 1:0დ.დ. რაინსბურგსე
ომნივორლდი 0:1 ბრედა
ვალვაიკი 1:2 აქილესი
ვკე 2:4 გრააფსხაპი
როდა 1:0 ტილბურგი

### პოლონეთი

**ექსტრაკლასა**

კრაკოვია 0:0 არკა
პოლონია 1:0 პიასტი
ბელხატუვი 1:0 ლეგია
რუხი 1:2 შლიონსკი

### რუმინეთი

**თასი**

გალაცი 1:2 ტიმიშოარა
უნირეა 1:0 ოცელული

### ესპანეთი

**თასი**

რეალი 4:3 რეალ უნიონი

### ბულგარეთი

**თასი**

ლიუბიმეცი 1:2 ვიჰრენი
რადნევო 0:2 სლივენი

### თურქეთი

**თასი**

ტრაბზონი 1:2 ბეშიქთაში

### უნგრეთი

**ლიგის თასი**

ბაქტალორანტჰაზა 1:5 ჰონვედი

### უელსი

**პრემიერლიგა**

ბანგორი 0:2 რილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

რუსთავი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ფოლადი. 500 მაყურებელი

### ოლიმპი 3:0 ამერი

1:0 მეგრელაძე (52პ), 2:0 ჩიკვილაძე (70), 3:0 სეთურიძე (72)

| | |
|---|---|
| ოლიმპი: მერლანი, თ. ღონღაძე, მაჭავარიანი, აკუასაგა, ჩიკვილაძე, გ. სეთურიძე, ბაბუნაშვილი, დობროვოლსკი, გ. ჩხეტიანი (ფიფია 69), დეკანოსიძე (ფეიქრიშვილი 46), მიკუჩაძე (მეგრელაძე 46) სათადარიგონი: სტურუა; ალადაშვილი მწვრთნელი: ვარლამ კილასონია | ამერი: ლ. ნადირაშვილი, ელბაქიძე, გვაძაბია, კაკაბაძე, ხატიაშვილი, ხუციძე, ლაფერაშვილი (ბუმბეიშვილი 90), ტიკურიშვილი (ნ. ქებაძე 62), ცხოვრებაშვილი, ბენდელიანი, ჩიმაკაძე სათადარიგონი: გვენცაძე; თ. სანიკიძე, ფუტკარაძე, ჯინიკაშვილი, ბოჯგუა მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე |

გაფრთხილება: გვაძაბია (30), დეკანოსიძე (40), კაკაბაძე (52), ცხოვრებაშვილი (54)

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, ზ. ჯვარიძე, ი. უკლება, ლ. სილაგავა

# ოლიმპმა ქუდი მეორე ტაიმში დაიხურა

კობა ინასარიძე რუსთავიდან

საქართველოს თასის მიჯრით სამგზის ფინალისტი და მათგან ორი გათამაშების გამარჯვებული თბილისური „ამერი“, ჩანს, წლეულს ფინალს მიღმა დარჩება და ამ სეზონში მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დაბრუნებაზე ფიქრი მოუწევს... ყოველ შემთხვევაში, გუშინდელი პირველი მეოთხედფინალური მატჩის ანგარიში გვაფიქრებინებს, რომ ასე იქნება.

ჩემპიონატის ულიმლამოდ დამწყებმა „ოლიმპმა“ გუშინ ზედიზედ მესამედ მოიგო. „ამერამდე“ რუსთაველებმა სტუმრად „ლოკომოტივს“ აჯობეს, იქამდე კი შინ — ცხინვალის „სპარტაკს“. ჰოდა, რუსთაველები თასის გათამაშებაში კარგად ნაცადი „ამერის“ წინააღმდეგ სათამაშოდ უკეთ რაღას უნდა განეწყო, თუ არა სწორედ ამგვარ ფსიქოლოგიურ ფაქტორს. თანაც, „ამერიც“ ხომ ის „ამერი“ აღარ არის, რაც ორი-სამი სეზონის წინ იყო...

გუშინდელი მატჩის პირველი ტაიმი კი ისე ჩამთავრდა, შესვენებისას კაცი ვერ იტყოდა, „ოლიმპს“ თავი ქუდში აქვს და პირველლიგელი „ამერი“ დამარცხებული ჰყავსო.

მასპინძლებმა თბილისელთა კართან ერთი-ორი სახიფათო მომენტი შექმნეს, მაგრამ ისიც იგრძნობოდა, რომ „ამერი“ ნელ-ნელა უმატებდა, შიგადაშიგ კი მწარედაც იჩხვლიტებოდა. გიორგი სეთურიძის დარტყმული ძელს მოხვდა, იქ ლადო ნადირაშვილმა იყოჩაღა, საპირისპირო კართან კი გაბონელმა ერნესტ აკუასაგამ განმუხტა დაძაბული ვითარება.

სხვათა შორის, ტაიმის ბოლოსკენ აკუასაგამ არბიტრს ხელით ანიშნა და გასახდელისკენ მოკურცხლა. „ოლიმპის“ მარცხენა მცველის პოზიციაზე აღარავინ იყო და ამის შემხედვარე ოლიმპელებიც გაოგნდნენ. მოედნიდან ტრიბუნაზე ხმაც გავიგეთ, ეს სად წავიდაო... სახალისო ეპიზოდი იყო.

თამაშის განახლებისთანავე კი აკუასაგა მოედანზე გამოჩნდა. „ოლიმპმა“ ორი შეცვლაც გააკეთა. ვარლამ კილასონიამ საქმეში მრისხანე ფორვარდი გიორგი მეგრელაძე და მარცხენაფლანგელი შემტევი გიორგი ფეიქრიშვილი ჩართო.

რამდენიმე წუთში მეგრელაძემ გოლიც გააკეთა. რუსთაველთა თავდამსხმელი მცველებს მყისიერად დაუსხლტდა, საჯარიმოში მისი ჩაწოდებული ბურთი კი მურთაზ კაკაბაძეს ხელზე მოხვდა. არბიტრმა კრიჭაშვილმაც პენალტი უყოყმანოდ დანიშნა და კაკაბაძესაც ყვითელი აუფრიალა. მეგრელაძემ პენალტი უნაკლოდ შეასრულა.

გოლის შემდეგ თამაში გათანაბრდა, სტუმრებიც თითქოს გააქტიურდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

„ოლიმპს“ კიდევ შეეძლო გატანა — ნადირაშვილი ყოჩაღობდა. ცოტა ხანში კი ყოფილი ამერელის, თენგიზ ჩიკვილაძის ჩინებული დარტყმაც ვნახეთ, რაც „ყვითლების“ მეკარისთვის აუღებელი იყო.

„ამერის“ ჭაბუკობა მეორე გაშვებულმა გოლმა მთლად დააბნია, მცველთა უხეში შეცდომებიც გახშირდა და მასპინძელთა ერთ-ერთი შეტევისას უკვე გიორგი სეთურიძემ იხეირა — „ამერს“ მესამე გოლი გაუტანა და რუსთაველთა საქმეც ფაქტობრივად იქ დაამთავრა.

რამდენიმე წუთში გიორგი მეგრელაძეს კუნთი დაეჭიმა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო. „ოლიმპს“ სამი შეცვლა უკვე გაკეთებული ჰქონდა და გუნდიც ათი ფეხბურთელით დარჩა, მაგრამ „ამერმა“ მაინც ვერაფერი მოახერხა.



გიორგი სეთურიძის გოლი



ლევან სანიკიძის პენალტი

# ბოლნისის სიონმა ნახევარფინალს მიუკაკუნა

ილია ნანობაშვილი

თბილისი. 11 ნოემბერი. 14 საათი. მ. მესხი. 150 მაყურებელი

### ლოკომოტივი 2:3 სიონი

0:1 სანიკიძე (2პ), 1:1 სარალიძე (21), 1:2, 2:2 სვანიძე (61, 84ს.კ.), 2:3 სანიკიძე (86)

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი: გ. ლომაია, ბებუა, კაიშაური, ლ. ჩაგელიშვილი, სარალიძე, კ. მახარაძე (ბარბაქაძე 62), სამხარაძე (დიაკვნიშვილი 58), ჯოხაძე, ი. გილაური (ალექსიძე 65), ჩირიკაშვილი, დ. ჩაგელიშვილი სათადარიგონი: ბათიაშვილი; ბუდაღაშვილი, ფარულავა მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე | სიონი: ბობლიაშვილი, ქემოკლიძე, დ. სვანიძე, შავგულიძე, ხუბუა, დიდავა, ზ. ქელიძე, ლ. სანიკიძე, კოშკაძე (ლ. ბაჯელიძე 78), ს. იაშვილი (რ. გოცირიძე 74), ი. შენგელია (ა. ალავიძე 46) სათადარიგონი: ქვაჩახია; დავითაშვილი, ჩივაძე, შ. ჯიქია მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე |

გაფრთხილება: დ. ჩაგელიშვილი (62), ქემოკლიძე (79)

მსაჯები: ო. ხეცაძე, გ. ჩიგოგიძე, გ. ყრუაშვილი, მ. ურუშაძე

ბოლნისის „სიონმა“ ერთი კვირის ინტერვალში მეორედ მოუგო „ლოკომოტივს“ და პირველად თუ სამი ქულა ჩემპიონატში აიღო, გუშინ თასის ნახევარფინალისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა — ძალიან საეჭვოა, ვაკელებმა შინ წაგებული 2:3 ბოლნისში სათავისოდ შეატრიალონ, თანაც, თუ გავითვალისწინებთ, რომ გიორგი კიკნაძის გუნდი აშკარად ვერ არის ფორმაში.

ვიტალი დარასელია, ლევან ცქიტიშვილი, ნიკა გუშარაშვილი, გიორგი კახელიშვილი — „ლოკომოტივს“ ეს ფეხბურთელები აკლდა და პლუს, რატი ალექსიძეც სათადარიგოებში იყო. სტუმრები კი ოპტიმალური შემადგენლობით იყვნენ და ოთარ კორღალიძემ, წინა მატჩებისგან განსხვავებით, უფრო შემტევი, 4-4-2 სქემა აირჩია. ადრე თუ „სიონი“ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობდა, გუშინ ირაკლი შენგელიამ და სანდრო იაშვილმა წყვილი შექმნეს, ხოლო ალეკო კოშკაძემ ნახევარდაცვაში დაიწია.

მატჩს ექტორ რაულ კუპერი და მისი თანაშემწე ხოსე ფანტაგუსი დაესწრნენ.

თამაში გახურებულიც არ იყო, იაშვილი „ლოკომოტივის“ საჯარიმოში რომ შეიჭრა და ლევან ჩაგელიშვილმა ფეხი გამოსდო.

პენალტი აშკარა იყო — ლევან სანიკიძემ გიორგი ლომაია კუთხეში გადაახტუნა და შუაში დაარტყა — 1:0.

ამ მომენტიდან ხუთ წუთში თითქმის იგივე სცენა გათამაშდა: იაშვილი და ჩაგელიშვილი ისევ შეიბნენ, ფორვარდმა მცველს გაასწრო და დაეცა, ოღონდ ნამდვილად ვერ დავდებთ თავს, რომ ეს „დაუხმარებლად“ გააკეთა. მსაჯმა პენალტი აღარ დანიშნა, თუმცა პენალტს ჰგავდა...

და სადღაც მე-15 წუთიდან თამაში უცებ გარდაიქმნა, მასპინძლებმა უპირატესობა ჩაიგდეს, „სიონის“ დაცვაც ძალიან აირია და გოლმაც მალე მოატანა. დაჩი ფოფხაძემ ნახევარი მოედანი გაირბინა, ირაკლი სამხარაძე მოძებნა, ვისგანაც ბურთი ლევან სარალიძეს მიუვიდა და მანაც საჯარიმოს გარედან შეაგდო — „სიონის“ მეკარე მინდია ბობლიაშვილი არც განძრეულა, მოულოდნელი დარტყმა იყო...

შესვენებამდე ვაკელებს კიდევ სამი მომენტი ჰქონდათ: ბობლიაშვილმა ჯერ ირაკლი ჩირიკაშვილის გასროლილი მოიგერია ფეხით, შემდეგ სარალიძის დარტყმულს მუშტები დაახვედრა, ბოლოს კი ისევ ჩირიკაშვილი გაამწარა — საჯარიმოდან არ ჩაახვევინა ბურთი.

თუმც ამ მომენტების მიუხედავად, ვერ ვიტყვით, „ლოკომოტივმა“ მეტოქე დასეტყვაო. ბურთს სტუმრები უფრო ხშირად ფლობდნენ, ეგაა, შეტევებს ვერ ამწვავებდნენ.

მეორე ნახევარში ბოლნისელებმა უფრო ყურადღებით ითამაშეს დაცვაში, ტემპიც ცოტა განელდა, თუმც 61-ე წუთზე არჩილ ალავიძემ კუთხური ჩააწოდა, დავით სვანიძემ კი თავით შეაგდო — 1:2.

თამაში ისევ გამოცოცხლდა, კიკნაძემ ალექსიძე შეუშვა მინდორზე და „ლოკომოტივის“ შეტევებაც იმატა, ერთ ეპიზოდში კი ვაკელები მსაჯს შეედავნენ — დავით ჩაგელიშვილის წაქცევისთვის პენალტი რატომ არ დანიშნეო. ძალიან აბურდული სიტუაცია იყო და ტრიბუნიდან ბევრიც არაფერი ჩანდა, ასე რომ, მსაჯი შეცდაო, ვერ დავიჟინებთ...

ბოლო წუთებზე კი გუნდებმა გოლები გაცვალეს: ჯერ იყო და, სვანიძემ მეტოქის კარში გატანილი გოლი საკუთარში შეგდებულით გააბათილა — დაჩი ფოფხაძის დაბალ ჩაწოდებულს რატი ალექსიძემ ფეხი ვერ მოარტყა და მისი გასაკეთებელი სვანიძემ გააკეთა. ასე გახდა 2:2.

თუმც სულ მალე შეცვლაზე შესულმა ლევან ბაჯელიძემ „სიონს“ ჯარიმა მოუნადირა, სანიკიძემ ახლო კუთხეში დაარტყა და ლომაიას ბურთი გაუძვრა. ეს გოლი კი გადამწყვეტი გამოდგა — 2:3.

თამაში ცუდი არ იყო. ცუდი და საწყენი ისაა, ფეხბურთელი ბურთის ლამის ნებისმიერ დაკარგვას მსაჯს რომ აბრალებს, თანაც, მწვრთნელიც რომ მხარს უბამს...

# დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## მეოთხედფინალი. პირველი მატჩები

www.pfl.ge



ალექსი ბენაშვილი ლევან ხმალაძესა და ზაალ ელიავას წინააღმდეგ

მალხაზ [illegible] ფოტო

# მეორე ტაიმამდე, თბილისში...

ზესტაფონი. 11 ნოემბერი. 14 საათი. ცენტრალური. 1 500 მაყურებელი

## ზესტაფონი 0:0 დინამო

| | |
|---|---|
| ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, ფრიდოლინი, უ. ლობჟანიძე, რ. ონიანი, ძარია (გელაშვილი 53), დაუშვილი (ნ. კვასხვაძე 62), გ. ხიდეშელი, ბენაშვილი, ბ. გოცირიძე, ჩასემი (გ. ჭელიძე 78) *სათადარიგონი:* ძაძამია, შ. ლონლაძე, ლომაშვილი, იონანიძე<br>მწვრთნელი: თემურ მახარაძე | დინამო: ლორია, თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ელიავა, ოდიკაძე, დიღმელაშვილი, ხმალაძე (ნერგაძე 46), გველესიანი (შ. კაშია 78), გ. მერებაშვილი, ვაწაძე *სათადარიგონი:* ლოსაბერიძე, ფირცხალავა, ნ. ჯიშკარიანი, სპასოევიჩი, ჯიუსი<br>მწვრთნელი: რაინერ ცობელი |
| გაფრთხილება: ხმალაძე (34), ონიანი (73), კრშკო (85), ვაწაძე (89), თომაშვილი (90) | |
| მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი, მ. ელიკაშვილი, ზ. ფიფია, ლ. კვარაცხელია | |
| დამკვირვებელი: ა. შალამბერიძე; დელეგატი: ბ. მჭედლიშვილი | |

**ბექან ჩხეიძე ზესტაფონიდან**

**სათასო** მატჩებში „ზესტაფონი“, რა ხანია, გადაულახავ ბარიერად იქცა თბილისის „დინამოსთვის“ და წლეულს რა იქნება, მალე ვნახავთ. გუშინ კი, მატჩი ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო. საკმაო ხანს უთვალთვალებდნენ ერთმანეთს, პირველი დარტყმა კარისკენ კი მე-12 წუთზე როინ ონიანმა შეასრულა, მაგრამ ბურთი საკმაო მანძილით აცილა.

ორივე გუნდი ძირითადად მოედნის ცენტრში აკონტროლებდა ბურთს, შეტევაში ჩართულ თავდამსხმელებს მცველები იოლად უმკლავდებოდნენ, თანაც ქარიანმა ამინდმა პასების სიზუსტეზეც იმოქმედა.

26-ე წუთზე ალექსი ბენაშვილმა სახიფათოდ ჩააწოდა საჯარიმოში, დავით დიღმელაშვილი ბურთთან ერთად უხერხულად წაიქცა, მასპინძლები პენალტს ითხოვდნენ, მაგრამ მსაჯმა მათ სურვილს ყური არ ათხოვა.

ორიოდ წუთში ირაკლი ძარია ლამობდა მეკარესთან პირისპირ გასვლას, მაგრამ გიორგი ლორიამ მდგომარეობა განმუხტა.

მერე მცველთა მოგერიებულ ბურთს ლევან ხმალაძემ შეაგება ფეხი, მაგრამ სიზუსტემ უმტყუნა. ცოტაც და, მარჯვენა ფრთაზე მასპინძლებს დავით ოდიკაძე გაეპარათ, მაგრამ როინ კვასხვაძე ბურთს დროულად დაუხვდა.

შემდეგ მასპინძლებმაც გამოიღეს ხელი. გიორგი ხიდეშელმა იაქტიურა, ბურთი ბენაშვილს დაუგორა, მაგრამ ლორიას ვერ აჯობა. ტაიმის ბოლო წუთები ორმხრივ შეტევებში გაილია.

მეორე ტაიმში მწვრთნელებმა შეცვლებს მიმართეს. თემურ მახარაძემ შეტევაში ნიკა კვასხვაძე და ნიკა გელაშვილი ჩართო, მაგრამ ამან შედეგი არ მოიტანა. თანდათან უპირატესობას „დინამო“ დაეუფლა. განსაკუთრებით ოდიკაძე გამოირჩეოდა. მას მხარი კარგად აუბეს გიორგი მერებაშვილმა და მათე ვაწაძემ, რომელთაც მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდათ მასპინძელთა მცველები.

61-ე წუთზე მარჯვენა ფრთაზე ოდიკაძის და ვაწაძის აქტიურობას მერებაშვილის კარგ პოზიციაზე გაყვანა მოჰყვა, მისი დარტყმული კი კვასხვაძემ სასწაულებრივად მოიგერია. შემდეგ ოდიკაძის დარტყმული ბურთი მასპინძელთა კარის ბადეს გარედან მოხვდა.

მასპინძლები შეტევის დალაგებას ცდილობენ. კვასხვაძე და გელაშვილი ფლანგებს იცვლიდნენ, მაგრამ სტუმართა მცველები საიმედოდ თამაშობენ.

74-ე წუთზე „ზესტაფონი“ ერთხელაც გადარჩა — უჩა ლობჟანიძემ თავით დაუბრუნა ბურთი მეკარეს. იქვე მერებაშვილი გაჩნდა, მათ ჭიდილში დაკარგულ ბურთს კი ოდიკაძემ დაარტყა, მაგრამ კვასხვაძემ გუნდი აშკარა გოლს გადაარჩინა.

86-ე წუთზე კი სტუმრები გადარჩნენ: გელაშვილმა ბურთს ლონივრად დაჰკრა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად.

არბიტრმაც საფინალოდ ჩასტვინა და გუნდები საპასუხო მატჩის იმედად დატოვა...

# ვიტ ჯორჯიასთვის მერანმა იკერკეტა

მცხეთა. 11 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი, 400 მაყურებელი

## ვიტ ჯორჯია 2:0 მერანი

| | |
|---|---|
| 1:0 ბეჭვაია (74), 2:0 ლომაია (78) | |
| ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბეჭვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. ჯანელიძე (ხურცილავა 59), კლიმიაშვილი, გ. მელქაძე ვ. კვარაცხელია (ბერიაშვილი 67), ლიპარტია (ლუჭაშვილი 78) *სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ყველაშვილი, მაისაშვილი, ვასაძე<br>მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე | მერანი (მ): კოდალაევი, ფარცვანია, ჩხიკვაძე, ი. ვაშაკიძე, დ. კვიტატიანი, წოწორია, პაპადოპულოსი (ზ. ენდელაძე 80), ტორაძე, ლ. ჩალაძე, გოგოლაძე (ცაგარეიშვილი 60), კირკიტაძე *სათადარიგონი:* შეროზია, არდაშელია, ბერიშვილი<br>მწვრთნელი: მალხაზ ჟვანია |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. მენთეშაშვილი, დ. კურტანიძე, ვ. ელისაბედაშვილი | |
| დამკვირვებელი: რ. ტალიაშვილი; დელეგატი: ნ. კაკულია | |

**ნუკრი ლოლაძე მცხეთიდან**

**საქართველოს** პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მოიგი სიურპრიზი მოამზადა და გორის ნაცვლად მატჩი მცხეთაში, „არმაზზე“ გადაიტანა, სადაც სტადიონის უხარისხობის გამო „ვიტ ჯორჯიას“ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების გამართვის უფლება არ აქვს...

სტადიონზე მისულთ კი ყველაზე მეტად ის გვესიამოვნა, რომ მცხეთისთვის უჩვეულოდ ბევრი ხალხი დაგვხვდა. პირველლიგელ „მერანს“ მარტვილიდან 300-მდე გულშემატკივარი ჩამოჰყვა და მთელი თამაში ხმაურიანადაც უქომაგა.

ვიტელთა თავკაცმა ოპტიმალური შემადგენლობა გაიყვანა და თავიდანვე შეეცადა, მეტოქე მოეგუდა.

საწყისი ათი წუთი „მერანს“ მართლაც მაგრად გაუჭირდა.

გიორგი ჯანელიძეს მეკარესთან გაჰყავდა ჯაბა ლიპარტია, თუმცა ბესიკ კოდალაევმა კარი დროულად დატოვა და საფრთხე აიცილა.

მარტვილელებს მეტოქის ნახევარზე გადასვლა უჭირდათ, ვიტელები დაწოლას აგრძელებდნენ, თუმც გამოცდილი ირაკლი ვაშაკიძე და „მერანის“ დაცვა ვიტელთა შემტევებს გასაქანს არ აძლევდნენ.

პირველ ნახევარში რეალური საგოლე შანსი არც ყოფილა, მასპინძლებმა კარისკენ სულ ორჯერ გაისროლეს — გოგა ბეჭვაიას და გიორგი მელქაძის დარტყმები შედეგიანი ვერ გამოდგა.

მეორე ნახევარი თითქმის იგივე სცენარით მიმდინარეობდა, „ვიტ ჯორჯია“ გამუდმებით უტევდა, „მერანი“ კი კბილებით იცავდა საკუთარ კარს.

ნაღდად შესაქებია მარტვილის გუნდი, დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა, თუმცა კლასმა მაინც თავისი გაიტანა და 74-ე წუთზე, როგორც იქნა, ვიტელებმა „მერანის“ კარი დალაშქრეს.

სტანდარტული მდგომარეობისას ბეჭვაია საჯარიმოსთან ტრიალებდა, ბურთი რიკოშეტით მიუვიდა და კარშიც დაარტყა. ხელი კი წაატანა კოდალაევმა, მაგრამ გუნდი ვერ გადაარჩინა.

კიდევ უფრო მოუმატეს ვიტელებმა — კლიმიაშვილის ნაკუთხურალს იმავ ბეჭვაიამ მიაყოლა თავური და კოდალაევმა ისევ კუთხურზე მოიგერია. ამას მელქაძის ჩაწოდება და დავით ლომაიას გოლი მოჰყვა — 2:0.

87-ე წუთზე მელქაძესაც შეეძლო სხვაობის კიდევ უფრო გაზრდა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა.



ნესტორ მუმლაძე

ბადრი [illegible] ფოტო

### პრესკონფერენცია

ნამატჩევს სტუმართა თავკაცი მალხაზ ჟვანია, წაგების მიუხედავად, გუნდის გარჯით კმაყოფილი იყო: „რაც შეეძლოთ, იშრომეს ბიჭებმა, ჩვენ პირველ ლიგაში ვთამაშობთ, გუნდი ახალი შექმნილია და გვინდა, გაისად უმაღლეს ლიგაში ვითამაშოთ. საპასუხო მატჩში ჩვენსას ვეცდებით, უნდა შევუტიოთ. დღეს თავდამსხმელი ციცხვაია გვაკლდა, რომელიც მარტვილში აუცილებლად გვეყოლება.“

ნესტორ მუმლაძე: „სიმართლე გითხრათ, არ ველოდი, თუ „მერანი“ ასეთ ბრძოლას გაგვიმართავდა. მებრძოლი გუნდია და ძალიან მომეწონა მათი თავდადება და ჟინი. ჯერ არაფერია გადაწყვეტილი — საპასუხო მატჩში დიდი ბრძოლა გველის.

# გიორგი დარასელია ნაკესანარს ელის

**ისრაელის** ჩემპიონატის მე-9 ტურში ჰაიფას „მაკაბი“, რომლის თავკაც ელიშა ლევის ასისტენტი გიორგი დარასელიაა, შინ ლოთარ მათეუსის ნეთანიას „მაკაბისთან“ 2:3 დამარცხდა და ლიდერობა დათმო.

ნეთანიას „მაკაბი“ 21 ქულით ერთპიროვნულად გალიდერდა, ჰაიფელები კი მას ქულით ჩამორჩებიან.

მომავალ ტურში დარასელიას „მაკაბი“ მეცხრეადგილოსან კირიათ შმონას „ჰაპოელს“ უმასპინძლებს. იმ გუნდს, რომელშიც ცოტა ხნის წინ „ზესტაფონიდან“ გაქცეული პოლ კესანი ვარჯიშობდა...

**ძახა შალამბერიძე**

# მიდი, ჟოზე, დროზე



ჟოზე მაურინიუ

**„მანჩესტერ სიტი“** ჟოზე მაურინიუსთვის წელიწადში 15 მილიონი გირვანქის შეთავაზებას აპირებს — გამაოგნებელი თანხაა. ასე და ამგვარად, მარკ ჰიუზის შემცვლელად „სიტის“ არაბ მეპატრონეებს, უპირველეს ყოვლისა, „ჩელსის“ ყოფილი თავკაცი ესახებათ.

ნეტავ რა პასუხს გასცემს არაბებს მაურინიუ? როგორც ინგლისურმა ტაბლოიდებმა თავიანთი არხებით შეიტყვეს, პორტუგალიელი წინადადებით კმაყოფილია (მოდი და ნუ იქნები) და დათანხმებას აპირებს — ყოველ შემთხვევაში, შორს არ არის.

„სარბიელის“ მკითხველებს მოგეხსენებათ, რომ „სიტის“ ხელისუფლებმა ერთი ხანია მწვრთნელის შეცვლაზე დაიწყეს ფიქრი, დღეს კი დაზუსტებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი ამ საკითხს უკვე ხუთი კვირაა, ამუშავებენ.

თეორიულად, ამ ისტორიაში არის ერთი საჩოთირო საკითხი: მაურინიუ მილანის „ინტერში“ ამ ზაფხულის გადასულია და 11 ტურის მერე გუნდი სერია A-ს სათავეში ჰყავს, მაგრამ ამ ლამაზ მედალს მეორე მხარც აქვს — „მაუს“ იტალიურ ფეხბურთში რაღაც-რაღაცები არ მოსწონს. კერძოდ, „განსაკუთრებულს“ მიაჩნია, რომ იტალიური პრესა და ტელევიზია მას ებრძვის და კიდევ, ვერ გაუგია, რატომ არ დადის სტადიონებზე ბევრი ხალხი. ერთი სიტყვით, პორტუგალიელი პრემიერლიგაში დაბრუნებაზე ოცნებობს და ამას არც მალავს — აკი, ჩვენც გვეწერა მისი სიტყვები, „ინტერში“ მუშაობას თავს რომ დავანებებ, აუცილებლად ინგლისს დავუბრუნდებიო.

ერთი დეტალიც: „ჩელსიდან“ რომ მიდიოდა, მაურინიუს ხელი ერთ ქაღალდზე მოუწერია, სადაც თურმე ეწერა, რომ ამ წუთიდან ერთი წლის განმავლობაში ის ინგლისის სხვა გუნდში არ მივიდოდა. ჰოდა, ეს ვადაც სწორედ რომ გასულია: „მაუ“ ლონდონს 2007 წლის 21 სექტემბერს გამოემშვიდობა.

თუმცა მიმომხილველებს მაინც ჰგონიათ, რომ ჟოზე მაურინიუ „შავ-ლურჯ“ სამსახურს ამ სეზონის ბოლომდე არ დათმობს და კითხვას სვამენ: მოითმენენ არაბები კიდევ 7 თვეს?

აღსანიშნავია, რომ ხალდუნ ალ მუბარაქმა გუშინწინ მარკ ჰიუზს ერთგულება გამოუცხადა...

**ბაკუნა ქედია**

# სად გავარდა მწვრთნელი?



სანდრო მაცოლა

**„ინტერის“** ყოფილმა ფორვარდმა, ლეგენდარულმა სანდრო მაცოლამ თავისი გუნდის ახალი თავკაცი, პორტუგალიელი ჟოზე მაურინიუ გააკრიტიკა. მაცოლას აზრით, „განსაკუთრებულმა“ სერია A-ს იმთავითვე ზედმეტად მსუბუქად შეხედა და ახლა სწორედ ამისთვის ისჯება.

ისჯება კი? იკითხავს ნებისმიერი, ვინც იტალიის ჩემპიონატის ცხრილს ჩახედავს. „ინტერი“ ხომ 24 ქულით ლიდერობს, მაგრამ მაცოლა სხვა აზრისა გახლავთ.

ეტყობა, ვეტერანი „შავ-ლურჯთა“ თავკაცის ბოლო პრესკონფერენციამ გააღიზიანა. ამ პრესკონფერენციაზე „მაუს“ ჰკითხეს, შენი „ინტერი“ უფრო ძლიერია თუ შარშანდელი, რომელსაც რობერტო მანჩინი ხელმძღვანელობდაო. ეს კითხვა „ჩელსის“ ყოფილმა თავკაცმა ვერ აიტანა და ოთახიდან გავარდა.

მაცოლამ, რომელიც გასული საუკუნის 60-იანი წლების დიდი „ინტერის“ მოთამაშე გახლდათ, ეს მწვრთნელის სისუსტედ ჩათვალა:

„მაურინიუ დღენიადაგ მოულოდნელი რაღაცების გაკეთებას და ამით ხალხზე შთაბეჭდილების მოხდენას ცდილობს. მანჩინის გუნდს ახლანდელი „ინტერი“ მან ერთხელ თავად შეადარა და ახლა ნუ გაუკვირდება, ჟურნალისტები მთელი სეზონის განმავლობაში ამას თუ შეეკითხებიან. როგორც ჩანს, მას საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა აქვს. მას იტალიაში მოსვლისთანავე ტონის მიცემა უნდოდა, მაგრამ გუნდი სწორი მიმართულებით ვერ წაიყვანა. ვფიქრობ, ჟოზემ იტალიის პირველობა ჯეროვნად ვერ შეაფასა და ახლა ამიტომაც უჭირს“.

**ბაკუნა ქედია**



# მექსიკა სვენებ-სვენებით

**მექსიკის** ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხუსტინო კომპანი დარწმუნებულია, რომ ქვეყნის ნაკრები ბოლო ორი თამაშის წარუმატებლობას გადალახავს და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავა.

საქმე ის არის, რომ მექსიკელებს, რომელთაც სათავეში ინგლისის ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი, შვედი სვენ გორან ერიკსონი უდგას, კონკაკაფის მეორე ჯგუფში შემდეგ ეტაპზე გადასვლისთვის 19 ნოემბერს, ჰონდურასში ერთი ქულის მოპოვება სჭირდებათ.

„ჯგუფში პირველ ადგილზე ვართ, მაგრამ უპირატესობა ერთიბეწოა და ეს მოსვენებას არ გვაძლევს — ბრძანა პრეზიდენტმა, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ კი, ლოს ანჯელესში გამართულ სიმპოზიუმზე — ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, შესარჩევ ეტაპზე ასეთი წვალება თუ დაგვჭირდებოდა. სტუმრად იმაზე ნაკლები ქულა მოვიპოვეთ, ვიდრე ვგეგმავდით და ვერც გოლების გატანით დავიკვეხნით. ერთი სიტყვით, შეშფოთებულნი გახლავართ, რადგან გვეგონა, ამ დროისთვის მეორე ეტაპზე უკვე გასულები ვიქნებოდით.

საბედნიეროდ, გვირაბის ბოლოს შუქს მაინც ვხედავთ და ეჭვი არ გვეპარება, რომ შესარჩევ კამპანიას წარმატებით დავასრულებთ“.

რაც შეეხება ზემოხსენებულ ორ წარუმატებლობას: მექსიკელებმა, ჯერ იყო და, ოქტომბერში სრულიად მოულოდნელად იამაიკასთან წააგეს 0:1, შემდეგ კი კანადასთან 2:2-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხეს. მას მერე, რაც გუნდს სათავეში ერიკსონი ჩაუდგა, მექსიკამ სამჯერ ითამაშა (ორჯერ — ოფიციალურად, ერთხელ კი ამხანაგურად) და ამ სამი შეხვედრიდან ვერცერთი ვერ მოიგო.

„ერიკსონი იმიტომ მოვიყვანეთ, რომ რასაც მანამდე ვაკეთებდით, იმაზე მეტი გააკეთოს — დაასკვნა კომპანმა — ის ძალიან წარმატებული გახლდათ ევროპის ისეთ ქვეყნებში, სადაც სერიოზულ ფეხბურთს თამაშობენ. ჩვენთან შვედი დიდი იდეებით და უსაზღვრო ენთუზიაზმით ჩამოვიდა. და მაინც, ყველაფერზე მნიშვნელოვანი შედეგებია“.

**ბაკუნა ქედია**

# კასერესის გეგმები

**2008 წლის** 4 ივნისს კატალონიურმა „ბარსელონამ“ „ვილიარეალს“ მარტინ კასერესის სანაცვლოდ საკმაოდ სოლიდური თანხა, 16,5 მილიონი ევრო გადაუხადა. მას შემდეგ ურუგვაელი მცველი „ბლაუგრანას“ რიგებში მხოლოდ ორჯერ გამოჩნდა. უკანასკნელად ეს პრიმერადივიზიონის ბოლო ტურში, „ბარსასთვის“ „ვალიადოლიდთან“ ტრიუმფალურ შეხვედრაში მოხდა, 21 წლის ფეხბურთელი „ნოუ კამპზე“ რაფაელ მარკესის ნაცვლად გამოვიდა.

რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ურუგვაელი ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაბევებას აპირებს და ვარჯიშებზე ბეჯითად შრომობს, რათა „ბარსას“ დამრიგებლის, ხოსეპ გვარდიოლას ნდობა მოიპოვოს.

„სიმართლე ის არის, რომ მოედანზე იმდენ დროს არ ვატარებ, რამდენიც მსურს — განაცხადა ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში — თუმცა ისიც მესმის, რომ ასეთი დიდი კლუბის შემადგენლობაში ეს ჩემი პირველი სეზონია. ნელ-ნელა სიტუაციას ვეჩვევი და მომავალში იმას გავაკეთებ, რასაც მწვრთნელი მეტყვის. როცა მოედანზე ვიქნები, ბოლომდე დავიხარჯები. ასე რომ, ჩემს შანსს ველი“.

კასერესმა ამ სეზონში „ბარსელონას“ გამოსვლის შესახებაც ისაუბრა. კატალონიური გრანდმა ამ ბოლო დროს მართლაც შესანიშნავ ფორმაშია და მეტოქეს მეტოქეზე ანადგურებს.

„სეზონი გრძელია. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მივყვეთ და ვფიქრობ, პრიმერადივიზიონის დასასრულსაც ფორმის პიკზე შევხვდებით, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ თამაშს იმავე განწყობით გავაგრძელებთ“ — განაცხადა ურუგვაელმა.

„ბარსაზე“ საუბრისას აქვე აღვნიშნოთ, რომ შესაძლოა, ზამთარში კატალონიელებთან მილანის „ინტერიდან“ ხულიო კრუსი გადაბარგდეს, რომელიც „ნერაძურიში“ უკვე რა ხანია, სათადარიგოა.

მართალია, 34 წლის არგენტინელი „ინტერს“ ბოლო წუთებზე გადამრჩენელის რანგში ბევრჯერ მოევლინა (მათ შორის „უდინეზესთან“ უკანასკნელ ტურში), მაგრამ, მიუხედავად ამისა, „სან სიროზე“ მისი მდგომარეობა კვლავ გაურკვეველია. კრუსს მილანურ გრანდთან კონტრაქტი ზაფხულში ეწურება. აქედან გამომდინარე, იანვრის სატრანსფერო პერიოდში ფორვარდის შედარებით იაფად შეძენას ბევრი კლუბი შეეცდება. ამ მხრივ განსაკუთრებით ზემოხსენებული „ბარსელონა“ აქტიურობს.

**არჩილ ქოგაშიძე**



მარტინ კასერესი

# აღარ სჭირდებათ ნევილი?

**„მანჩესტერ იუნაიტედის“** კაპიტან გარი ნევილს კლუბთან კონტრაქტის ვადა უახლოეს მომავალში ეწურება, თუმცა, როგორც ინგლისური პრესა იუწყება, მანკუნიანელთა ხელმძღვანელობას 33 წლის ფეხბურთელისთვის ახალი ხელშეკრულების გაფორმების წინადადებით აქამდე არ მიუმართავს. ასე რომ, შესაძლოა, ნევილს „ოლდ ტრეფორდის“ დატოვება უკვე იანვარში მოუწიოს.

# რიისე, მენეზი და სისინიუ — კარისკენ!

**იტალიური** „რომა“ იანვარში რამდენიმე ფეხბურთელთან დამშვიდობებას აპირებს. აპენინური პრესის ცნობით, „ჯალოროსის“ „ლივერპულის“ ყოფილი მცველი იონ არნე რიისე, ფრანგი თავდამსხმელი ჟერემი მენეზი და ბრაზილიელი მცველი სისინიუ დატოვებენ. ეტყობა, მენეზს სერია A-ს რომელიმე კლუბში გაანათხოვრებენ, სისინიუთი კი მშობლიური „ინტერნასიონალი“ დაინტერესდა.

# ნოივილს კუნთი გაუწყდა

**ბუნდესლიგის** „მიონხენგლადბახის“ თავდამსხმელ ოლივერ ნოივილს, სარეზერვო გუნდში გამოსვლისას, მარჯვენა ბარძაყის კუნთი გაუწყდა. შედეგი — ნოივილი რამდენიმე კვირით მწყობრიდან გამოვიდა. 35 წლის ფეხბურთელი შეხვედრის დასრულებამდე 5 წუთით ადრე მეტოქე გუნდის მეკარეს შეეჯახა, რის შემდეგაც მოედნის დატოვება მოუხდა.

# პომპეი იყიდება

**პრემიერლიგის** „პორტსმუთი“ უახლოეს მომავალში, შესაძლოა, სამხრეთაფრიკელი ბიზნესმენების საკუთრება გახდეს. „პომპეის“ ახლანდელ მფლობელ ალექსანდრ გაიდამაკს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს და უკვე რამდენიმე კვირაა, კლუბის მყიდველების ძებნაშია. „პორტსმუთის“ წარმომადგენლების თქმით, ამ უქმეებზე კლუბის ხელმძღვანელობა პოტენციურ მყიდველებს შეხვდა და ხელშეკრულების პირობების შეთანხმების პროცესი უკვე დაიძრა.

# იენსენი დაბრუნდა

**„ბლექბერნ როვერსის“** პრეზიდენტის ჯონ უილიამსის განცხადებით, ნახევარმცველი მეტ იენსენი „ვარდების“ განკარგულებაში დაბრუნდა და სრულ მზადყოფნაშია. 31 წლის ფეხბურთელს 2006 წლის აპრილის შემდეგ არ უთამაშია, თუმც მაშინ ის ჯერ კიდევ „ბოლტონ უონდერერსის“ საკუთრება იყო. 2002 წელს იენსენი საავტომობილო ავარიანი მოხვდა და ამ ინციდენტის შემდეგ ჩვეული ფორმის აღდგენას ვერ ახერხებდა.

# უადუ დაშავდა

**ფრანგული** „ნანსის“ ცენტრალური მცველი აბდესალამ უადუ აქილევსის მყესის დაზიანების გამო ექვსი კვირით მწყობრიდან გამოვიდა. მაროკოს ნაკრების 30 წლის ფეხბურთელმა ტრავმა „ვალანსიენთან“ საფრანგეთის ჩემპიონატის საკვირაო მატჩში მიიღო. უადუმ ამ სეზონში „ნანსის“ შემადგენლობაში 11 შეხვედრა ჩაატარა, ახლა კი უკვე ცნობილია, რომ იგი თავის გუნდს უეფას თასზე მოსკოვის ცსკასა და ლა კორუნიის „დეპორტივოსთან“ შეხვედრებში ვერ დაეხმარება.

# ბერლინური ტრავმები

**ბერლინის** „ჰერტას“ ფორვარდ მარკო პანტელიჩს „ჰოფენჰაიმთან“ ბუნდესლიგის უკანასკნელი ტურის შეხვედრაში ბარძაყის კუნთი დაეჭიმა. ასე რომ, შაბათს „ჰამბურგთან“ მოედანზე მისი გასვლა ნაკლებად სავარაუდოა. ერთ-ერთი ვარჯიშის დროს დაშავდა ბერლინური კლუბის სათადარიგო მეკარე კრისტოფერ გენგიც, რომელიც გამოსვლაზე ნახევარმცველ პატრიკ ებერტს შეეჯახა და ტვინის შერყევა მიიღო.

# სავიდანი კლუბის გამოცვლას გეგმავს

**ფრანგული** „კაენის“ თავდამსხმელი სტივ სავიდანი უახლოეს მომავალში კლუბის გამოცვლას აპირებს. 30 წლის ფეხბურთელით, რომელმაც საფრანგეთის ჩემპიონატის 13 მატჩში 6 გოლის გატანა მოასწრო, მადრიდის „ატლეტიკო“ სერიოზულად არის დაინტერესებული. სავიდანის შეძენის პრეტენდენტთა შორის „მარსელიც“ ფიგურირებს.

# სლოვაკის ბოროული იჯარა

**ინგლისურმა** „მიდლსბროშ“ სლოვაკური „კომიცეს“ ფეხბურთელ პეტერ გალომ-ანდრეზლისთან იჯარის პირობები შეათანხმა. 17 წლის ფეხბურთელი „ბოროში“ იანვარში გადაბარგდება და „რივერსაიდზე“ მინიმუმ ზაფხულამდე დარჩება.

# ეგვიპტელი გუდისონ პარკზე

**იანვარში** ლივერპულის „ევერტონში“ ეგვიპტის ნაკრების თავდამსხმელი ემად მოთაები გადავა. „კანფეტებმა“ 25 წლის ფეხბურთელში, რომელიც ამჟამად ქაიროს „ალ აჰლის“ საკუთრებაა, 2 მილიონი გირვანქა გაიღეს. მოთაების შეძენა მერსისაიდელებს ჯერ კიდევ გასულ სეზონზე სურდათ, თუმცა მაშინ შეთანხმება ვერ შედგა.

**არჩილ ძოწახიძე**

# ბაიერნი ზენიტს ყიდულობს




**„ბაიერნის“** კაპიტანი მარკ ვან ბომელი სეზონის ბოლოს, შესაძლოა, გუნდიდან წავიდეს. ჰოლანდიელს, რომლის კონტრაქტიც 2009-ში იწურება, ხელშეკრულების გახანგრძლივებას ჯერ არ სთავაზობენ.

„ნოემბრის ბოლოს ან დეკემბრის დასაწყისში კლუბის შეფებს შევხვდები და მომავალზე ვიმსჯელებთ. უახლოეს თვეებში ვითარება უნდა გაირკვეს“ — თქვა კაპიტანმა.

„ბილდის“ ცნობით, ვითარება იმიტომაც უნდა გაირკვეს, რომ მალე რუსეთის ჩემპიონატი დასრულდება. „ბაიერნი“ კვლავ დაინტერესებულია „ზენიტის“ ნახევარმცველით ანატოლი ტიმოშჩუკით, რომელიც ვან ბომელის პოზიციაზე თამაშობს.

ბავარიულმა კლუბმა ერთხელ უკვე სცადა უკრაინელი ფეხბურთელის ყიდვა, მაგრამ „ზენიტთან“ ფასზე ვერ მორიგდა.

„ბილდი“ ასევე წერს, რომ „გაზპრომის“ გუნდი ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ტიმოშჩუკის გაყიდვას 15 მილიონ ევროდ აპირებს და მის შემცვლელს უკვე ეძებს.

ტიმოშჩუკის თანანაკრებელმა, „ჰერტას“ ფორვარდმა ანდრი ვორონინმა ზენიტელი ასე დაახასიათა: „ბრძოლა შეუძლია 90 წუთის განმავლობაში და თუ საჭირო გახდა, 120 წუთსაც იბრძოლებს.

პროფესიონალია და კარგი გაგებით თავისი საქმის გიჟია. დარწმუნებული ვარ, „ბაიერნისთვის“ ზედგამოჭრილია“.

რუსული მედია კი ვარაუდობს, რომ ანდრეი არშავინის აგენტი მალე „ბაიერნის“ წარმომადგენლებს შეხვდება. მიუნხენელებს ამ ზამთარს ლუკაშ პოდოლსკის გაყიდვა სურთ და მის შემცვლელად არშავინი შეუგულებიათ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# გავდივართ და გავდივართო



**ალექს ფერგიუსონმა** პრემიერლიგის კალენდარს თავს საშინელი კრიტიკა დაატეხა. „მანჩესტერ იუნაიტედის“ მწვრთნელმა განაცხადა, რომ მისი გუნდი გამორჩევით ცუდ დღეშია, რაც იმით დაასაბუთა, რომ ჩემპიონთა ლიგაში „ვილიარეალსა“ და „ოლბორგთან“ შეხვედრების შემდეგ, „იუანაიტედს“ პრემიერლიგაში სტუმრად უწევს თამაში. გეხსომებათ ისიც, რომ სერ ალექსის ქვეშევრდომებს ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურში, „სელტიკთან“ მატჩის შემდეგაც სტუმრობა მოუხდა და თან როგორი — „ემირეით სთედიუმზე“ „არსენალი“ — “მანჩესტერ იუნაიტედი“ გაიმართა. „არსენალმა“ 2:1 მოიგო.

ასე და ამგვარად, დღეისთვის მანჩესტერელები მეოთხე ადგილზე არიან და თანაბარქულიან ლიდერებს, „ჩელსისა“ და „ლივერპულს“ 8 ქულით ჩამორჩებიან.

„ცდილობენ დაგვიმტკიცონ, რომ ჩემპიონატში ყველაფერი სამართლიანად და თანაბრად არის განაწილებული, მაგრამ ასე არ გახლავთ. ჩემპიონთა ლიგის ყოველი ტურის შემდეგ ჩვენ სტუმრად გვიწევს თამაში. ანდა, დახეთ, რა ხდება, გასული ჩემპიონატის ზედა ათეულის გუნდებთან პირველ წრეში სულ სტუმრობა გვიხდება. ადვილი მისახვედრია, რომ ეს ფრიად სერიოზული დაბრკოლებაა. იმედი მაქვს, ამ გუნდებს მეორე წრეში შინ გავუმკლავდებით“.

ხოლო, როდესაც ბოლო ტურში არსენალელი სამირ ნასრის მიერ „მანჩესტერის“ კარში გატანილი ორი გოლის გახსენება სთხოვეს, ფერგიუსონმა მიუგო:

„თავის დამშვიდება მხოლოდ იმით შეგვიძლია, რომ წაგების მიუხედავად, ფანტასტიკური ფეხბურთი ვითამაშეთ. ვფიქრობ, გოლების გატანის შესაძლებლობა ჩვენ უფრო ხშირად გვქონდა და ხუთის ან ექვსის შეგდებაც შეგვეძლო. სამწუხაროდ, პრაქტიკული მნიშვნელობა მხოლოდ შემდგარ გოლებს აქვს — თამაშის ბედი ასე წყდება“.

**პაპუნა ძედია**

# მარადონა მასკერანოდან ინდოეთამდე




**დიეგო მარადონამ** არგენტინის ნაკრების კაპიტნობა ხავიერ მასკერანოს ანდო.

„მე მჯერა მასკერანოსი — თქვა მარადონამ „ლივერპულის“ ლეგიონერზე ევროპაში ექვსდღიანი ვიზიტის შემდეგ — ავუხსენი, რას ვფიქრობ მასზე და რა შეუძლია მისცეს ნაკრებს მისმა კაპიტნობამ“.

თავიდან ხავიერ მასკერანო უარზე იყო, კაპიტნობისთვის მზად არ ვარ, თანაც ვიდრე ნაკრებში ხავიერ ძანეტია, კაპიტნობაში როგორ შევცვლებიო.

მარადონა იმედოვნებს, რომ ნაკრებში მისი თანაშემწე ოსკარ რუჯერი გახდება, თუმც არგენტინული მედიის ცნობით, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ხულიო გრონდონა წინააღმდეგია.

„არა მგონია, რომ ჩემს თანაშემწედ რუჯერის დანიშვნა შეუძლებელი იყოს“ — აღნიშნა ნაკრების ახალმა მწვრთნელმა, რომელიც თავიდან ამბობდა, ასისტენტებად ხოსე ლუის ბრაუნს და სერხიო ბატისტას ავიყვანო, მოგვიანებით კი გადაიფიქრა.

ოსკარ რუჯერი 2003 წელს მექსიკის „ტეკოსს“ თავკაცობდა და ზედიზედ ექვსი მარცხის გამო მოხსნეს. მერე „ინდეპენდიენტე“ ჩაიბარეს და ოთხ თვეში იქიდანაც დაითხოვეს. 2004-ში ესპანეთის სეგუნდადივიზიონის „ელჩეს“ მწვრთნელობა ითავა და 20 ტურის შემდეგ გაათავისუფლეს.

ევროპიდან ისევ მექსიკაში დაბრუნდა და ქვეყნის უმდიდრესი კლუბის, მეხიკოს „ამერიკას“ თავკაცი გახდა, თუმც მისი მწვრთნელობა ექვს მატჩში დასრულდა.

ბოლო კლუბი, სადაც რუჯერი მუშაობდა, „სან ლორენსო“ იყო და 2006-ში „ბოკა ხუნიორსთან“ 1:7 წაგებას გადააყოლეს.

აქვე ვთქვათ, რომ დიეგო მარადონა 6 დეკემბერს ინდოეთში საქველმოქმედო აუქციონზეა დაპატიჟებული. იგი ჯერ კალკუტაში საფეხბურთო აკადემიის გახსნას დაესწრება, მერე კი აუქციონი გაიმართება, სადაც მისი ნაქონი ნივთები გაიყიდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ესეც პრემიერლიგა!

**ამბობენ, რომ პრემიერლიგა დაარსებიდან, ანუ 1992 წლიდან საუკეთესო სეზონს ატარებს. სამი თვეა, რაც ახალი ჩემპიონატი დაიწყო და მაყურებელს მოწყენა რაა, ამოსუნთქვის საშუალებაც არ ჰქონია. ვინ მოთვლის, სრულიად დრამატულად უკვე რამდენჯერ შეტრიალდა და შემოტრიალდა სიუჟეტი. გაზეთების პირველ გვერდებზე ხომ სულ რომელიმე გუნდის ან ფეხბურთელის ამაღელვებელი ამბავი წერია და ამიტომაც მოუვიდათ „სანის“ რუბრიკა „ათი საუკეთესოს“ ავტორ-პატრონებს თავში აზრად იმ მიზეზების ჩამოთვლა, რომელთა გამოც ჯერჯერობით ყველაფერი ასე ბრწყინვალედ მიდის**

## 10 რობინიო




წარმოიდგინეთ, არაბულ კონსორციუმს „მანჩესტერ სიტი“ სატრანსფერო სეზონის გახსნისთანავე რომ ეყიდა... ხოლო, სინამდვილეში რაც მოხდა, კარგად გეხსომებათ: ახალი ფეხბურთელების ყიდვის ვადა იწურებოდა, „სიტის“ კი „ტოტენჰემ ჰოთსპურიდან“ დიმიტარ ბერბატოვი ვერა და ვერ მოჰყავდა. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ მანჩესტერელებმა დიდი ფულის გადახდაში ბრიტანეთის რეკორდი დაამყარეს — „რეალიდან“ ბრაზილიელი რობინიო იყიდეს 32 მილიონ გირვანქად. და, რაც ყველაზე მთავარია, რობინიო ამ ფულს სრულიად ამართლებს.

## 9 ბოლო წუთების შოუ



რაც ეს სეზონი დაიწყო, მსაჯის წამატებულ წუთებზე უკვე შვიდი თამაშის ბედი გადაწყდა. აშკარაა, რომ მაყურებელმა თავისი ადგილი ტრიბუნაზე (თუ ის სტადიონზეა) და სავარძელში (თუ ის ტელევიზორთან ზის) საფინალო სასტვენამდე არ უნდა დატოვოს.

## 8 ასტონ ვილა



სეზონის დაწყებამდე რომ ეკითხათ, თამაშები რომ გახურდება, დიდ ოთხეულთან მიახლოებას რომელი გუნდი მოახერხებსო, გულშემატკივართა უმეტესობა, ალბათ, „მანჩესტერ სიტის“, „ტოტენჰემ ჰოთსპურს“ და, თუ გნებავთ, „პორტსმუთს“ დაასახელებდა, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ ამ გუნდებზე უწინ მეხუთეობას ბირმინგემელები შეძლებდნენ? მარტინ ონილმა შეჯიბრებაში ინგლისურ ხერხემალზე აწყობილი მშვენიერი გუნდი გამოიყვანა.

## 7 რორი დელაპი



„სტოკის“ მარტივ ტაქტიკას შესაძლოა იზიარებდეთ და შესაძლოა — არა, მაგრამ ერთი ფაქტია: ეს რორი დელაპი აუტების ჩაწოდებისას ნამდვილი ურჩხული ხდება. გუნდმა მიმდინარე სეზონში 13 გოლი გაიტანა და აქედან შვიდ შემთხვევაში ასისტენტი ირლანდიელი გახლდათ. „ბრიტანია სტედიუმზე“ მისი „მხეცობის“ ბოლო მსხვერპლი „არსენალი“ გახდა.

## 6 ბიუჯეტის მჯობავნი



განა ფული ყველაფერს ნიშნავს? აი, მაგალითად, „უიგანს“ ამრ ზაქი არც უყიდია, იქირავა, მაგრამ ბიჭი ისე თამაშობს, რომ ახლა მასზე თვალი „დიდებს“ უჭირავთ. ანდა, „ჰალში“ ჯოვანი როგორ გაცოცხლდა? „სიტიმ“ კი დაიწუნა...

## 5 სატრანსფერო სიგიჟენი



თუ გახსოვთ, სატრანსფერო თავგადასავლებმა ზაფხული როგორ გაალამაზა, ხელების ფშვნეტით მოემზადეთ ზამთრისთვის: „მანჩესტერ სიტის“ ფული თავზესაყრელად აქვს, „სფურზში“ ჰარი რედნაპი იზამს რამეს და წესით, „ნიუკასლიც“ საინტერესო ამბებს უნდა აპირებდეს.

## 4 ჯო კინეარი



წელან ვთქვით ასეთი წინადადება, მაგრამ ახლაც უნდა გავიმეოროთ, რადგან ზედგამოჭრილია: სეზონის წინ რომ ეთქვათ, გამოიცანით, „ნიუკასლ იუნაიტედში“ კევინ კიგანის ნაცვლად ვინ მივაო და 100 მწვრთნელის დასახელების საშუალება მოეცათ, ჯო კინეარს ნეტავ ჯო კინეარის ჩათვლით ვინმე თუ დაასახელებდა? ეს ირლანდიელი კაცი, მგონი, „ნიუკასლ იუნაიტედის“ ისტორიაში თავისებური ფურცლის ჩაწერას აპირებს.

## 3 სფურზის საგა




საყვარელი, ბებერი „ტოტენჰემი“... ყოველ ზაფხულს იმედის სხივებში მობანავე ლონდონელებს ჰორიზონტიდან შავი ღრუბლები ემუქრება. ამჯერად, ჰარი რედნაპს თითქოს გაჰყავს სამშვიდობოს... ყოველ შემთხვევაში, იმით, რომ მწვრთნელი ინგლისელია, ყველა გახარებული ჩანს.

## 2 დიდი, მყიფე ბიჭები



„მანჩესტერ იუნაიტედი“ შეუჩერებელია? დაივიწყეთ. „ჩელსის“ „სტემფორდ ბრიჯზე“ ვერავინ უგებს? ძველი ამბავია. „არსენალი“ და „ლივერპული“? ძველებურად ცხოვრობენ — პრემიერლიგის დიდ ოთხეულს ახლა უკვე მეტს უბედავენ, ვიდრე შარშან. სეზონის ბოლოს ტიტულისთვის დიდი დოლი რომ გაიმართოს და თან ოთხეულში ვინმე ახალმა რომ შეყოს ფეხი, ნუ გაგიკვირდებათ.

## 1 ახალბედაც ამას ჰქვია



მაგრამ სეზონის უმთავრესი სენსაცია ჯერჯერობით „ჰალია“. ვინ იფიქრებდა, რომ... ცხრილს ჩახედეთ, ერთი, თქვენი ჭირიმე, ნუ დაიზარებთ. ნაცვლად იმისა, რომ ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად წვალობდეს, „ჰალი“ 20 ქულით მეექვსე ადგილზეა.

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 50 | არსენალი-ასტონ ვილა | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 19:00 | 52 | ვესტ ჰემი-პორტსმუთი | 2.35 | 3.25 | 2.85 | 1.36 | 1.28 | 1.51 |
| 21:30 | 54 | ვესტ ბრომვიჩი-ჩელსი | 8.00 | 4.70 | 1.35 | 2.96 | 1.15 | 1.04 |
| 19:00 | 56 | ნიუკასლი-უიგანი | 2.15 | 3.25 | 3.20 | 1.29 | 1.28 | 1.61 |
| 19:00 | 58 | ბლექბერნი-სანდერლენდი | 2.20 | 3.25 | 3.10 | 1.31 | 1.28 | 1.58 |
| 19:00 | 62 | ფულემი-ტოტენჰემი | 2.90 | 3.25 | 2.30 | 1.53 | 1.28 | 1.34 |
| 16:45 | 66 | ბოლტონი-ლივერპული | 5.00 | 3.40 | 1.70 | 2.02 | 1.26 | 1.13 |
| 19:00 | 68 | მანჩესტერი-სტოკი | 1.17 | 6.00 | 15.00 | 1.00 | 1.08 | 4.28 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 60 | ჰალი-სიტი | 2.80 | 3.25 | 2.40 | 1.50 | 1.29 | 1.38 |
| 17:30 | 64 | ევერტონი-მიდლსბრო | 1.80 | 3.25 | 4.35 | 1.15 | 1.27 | 1.86 |
| | | **ინგლისი. ჩემპიონატი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 70 | ქპრ-ბარნსლი | 2.15 | 3.25 | 3.35 | 1.29 | 1.30 | 1.64 |
| 19:00 | 71 | შეფილდი-რედინგი | 2.55 | 3.25 | 2.65 | 1.42 | 1.29 | 1.45 |
| 19:00 | 72 | ბარნსლი-უოტფორდი | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 19:00 | 73 | საუთჰემპტონი-ვულვერჰემპტონი | 3.50 | 3.00 | 2.10 | 1.61 | 1.31 | 1.23 |
| 19:00 | 74 | ბირმინგემი-ჩარლტონი | 1.60 | 3.50 | 6.00 | 1.09 | 1.26 | 2.21 |
| 19:00 | 76 | ბრისტოლი-ნოტინგემი | 1.75 | 3.30 | 4.80 | 1.14 | 1.28 | 1.95 |
| 19:00 | 77 | კარდიფი-კრისტალ პალასი | 2.05 | 3.20 | 3.60 | 1.24 | 1.30 | 1.69 |
| 19:00 | 78 | ქოვენთრი-პლიმუთი | 2.25 | 3.20 | 3.10 | 1.32 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 79 | დერბი-ქვინსი | 1.95 | 3.25 | 4.00 | 1.21 | 1.31 | 1.79 |
| 21:20 | 80 | დონკასტერი-იფსვიჩი | 3.10 | 3.25 | 2.30 | 1.58 | 1.32 | 1.34 |
| 19:00 | 81 | ნორვიჩი-ხუონსი | 2.40 | 3.20 | 2.85 | 1.37 | 1.30 | 1.50 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 75 | ბლეკპული-პრესტონი | 2.35 | 3.25 | 2.95 | 1.36 | 1.30 | 1.54 |
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 83 | ტრანმერი-საუთენდი | 2.30 | 3.30 | 3.00 | 1.35 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 84 | როვერსი-სქანთორპი | 2.70 | 3.30 | 2.55 | 1.48 | 1.31 | 1.43 |
| 19:00 | 86 | კარლაილი-ბრაიტონი | 2.45 | 3.20 | 2.70 | 1.38 | 1.28 | 1.46 |
| 19:00 | 87 | კოლჩესტერი-უოლსოლი | 2.15 | 3.30 | 3.30 | 1.30 | 1.30 | 1.64 |
| 19:00 | 88 | ქრიუ-ლეიტონი | 2.30 | 3.30 | 3.00 | 1.35 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 89 | ჰარტლპული-დონსი | 2.45 | 3.30 | 2.75 | 1.40 | 1.29 | 1.50 |
| 19:00 | 90 | ჰერეფორდი-ჩელტენემი | 2.30 | 3.30 | 3.00 | 1.35 | 1.30 | 1.57 |
| 16:15 | 91 | ლიდსი-ჰადერსფილდი | 1.60 | 3.60 | 5.70 | 1.10 | 1.24 | 2.20 |
| 19:00 | 92 | მილუოლი-სტოკპორტი | 1.95 | 3.30 | 4.00 | 1.22 | 1.31 | 1.80 |
| 19:00 | 93 | ნორთჰემპტონი-ოლდემი | 2.45 | 3.30 | 2.75 | 1.40 | 1.29 | 1.50 |
| | | **ინგლისი. II ლიგა** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 95 | როჩდეილი-მაკლსფილდი | 1.70 | 3.40 | 5.00 | 1.13 | 1.26 | 2.02 |
| 19:00 | 96 | აკრინგტონი-ბორნმუთი | 2.35 | 3.20 | 2.90 | 1.35 | 1.29 | 1.52 |
| 19:00 | 97 | უიკომბი-ბრედფორდი | 2.25 | 3.20 | 3.10 | 1.32 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 98 | ალდერშოტი-ექსეტერი | 2.40 | 3.20 | 2.85 | 1.37 | 1.30 | 1.50 |
| 19:00 | 99 | ბარნეტი-ნოტსი | 2.35 | 3.20 | 2.95 | 1.35 | 1.30 | 1.53 |
| 19:00 | 100 | ბერი-გრიმსბი | 1.65 | 3.50 | 5.50 | 1.12 | 1.26 | 2.13 |
| 19:00 | 101 | ჩესტერი-მორქემბი | 2.25 | 3.20 | 3.10 | 1.32 | 1.30 | 1.57 |
| 19:00 | 102 | ჩესტერფილდი-შრიუსბერი | 2.55 | 3.20 | 2.65 | 1.41 | 1.29 | 1.44 |
| 19:00 | 103 | დარლინგტონი-ლინკოლნი | 1.85 | 3.40 | 4.00 | 1.19 | 1.26 | 1.83 |
| 19:00 | 105 | ლუტონი-დაგენემი | 2.40 | 3.20 | 2.85 | 1.37 | 1.30 | 1.50 |
| 19:00 | 106 | პორტ ვეილი-ბრენტფორდი | 2.35 | 3.30 | 2.90 | 1.37 | 1.29 | 1.54 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 107 | ლიუისი-ბარტონი | 4.70 | 3.50 | 1.65 | 2.00 | 1.22 | 1.12 |
| 19:00 | 108 | იორკი-ტორკი | 2.55 | 3.25 | 2.40 | 1.42 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 109 | ქროული-კემბრიჯი | 2.30 | 3.20 | 2.75 | 1.33 | 1.25 | 1.47 |
| 19:00 | 110 | ჰისტონი-კეტერინგი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 111 | უეიმუთი-რექსემი | 2.60 | 3.25 | 2.40 | 1.44 | 1.24 | 1.38 |
| 19:00 | 112 | გრეისი-ოქსფორდი | 2.55 | 3.25 | 2.40 | 1.42 | 1.23 | 1.38 |
| 19:00 | 113 | სტივენეიჯი-ნორთვიჩი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 19:00 | 114 | ფორესტ გრინი-ალტრინჰემი | 2.25 | 3.25 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.50 |
| 19:00 | 115 | რაშდენი -კიდერმინსტერი | 2.30 | 3.25 | 2.75 | 1.34 | 1.25 | 1.48 |
| 19:00 | 116 | ებსფლითი-ბეროუ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| 19:00 | 117 | მენსფილდი-სელისბერი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 19:00 | 118 | ისტბორნი-უოკინგი | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 141 | ჰართსი-ჰამილტონი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 23:45 | 142 | ჰართსი-ჰამილტონი 0:1 | 2.60 | 3.30 | 2.35 | | | |
| 23:45 | 143 | ინვერნესი-ფალკირკი | 2.40 | 3.20 | 2.80 | 1.37 | 1.29 | 1.49 |
| 23:45 | 144 | ინვერნესი-ფალკირკი 0:1 | 5.00 | 4.00 | 1.50 | | | |
| 23:45 | 145 | მაზერუელი-რეინჯერსი | 5.50 | 3.40 | 1.55 | 2.10 | 1.20 | 1.06 |
| 23:45 | 146 | მაზერუელი-რეინჯერსი 1:0 | 2.35 | 3.30 | 2.60 | | | |
| 23:45 | 149 | სელტიკი-კილმარნოკი | 1.20 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.08 | 3.43 |
| 23:45 | 150 | სელტიკი-კილმარნოკი 0:1 | 1.60 | 3.80 | 4.25 | | | |
| 23:45 | 151 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:45 | 152 | დანდი იუნაიტედი-ჰიბერნიანი 0:1 | 3.55 | 3.50 | 1.80 | | | |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 166 | კლაიდი-სტ.ჯონსტონი | 4.30 | 3.60 | 1.65 | 1.95 | 1.19 | 1.13 |
| 19:00 | 167 | დანდი-ქუინი | 2.15 | 3.40 | 2.80 | 1.31 | 1.21 | 1.53 |
| 19:00 | 168 | ლივინგსტონი-დანფერმლაინი | 2.30 | 3.40 | 2.60 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 170 | ბრეჩინი-ისტ ფაიფი | 1.90 | 3.50 | 3.35 | 1.23 | 1.21 | 1.71 |
| 19:00 | 171 | ქუინზ პარკი-ეარი | 2.95 | 3.50 | 2.05 | 1.60 | 1.20 | 1.29 |
| 19:00 | 172 | რეითი-პიტერჰედი | 1.85 | 3.60 | 3.50 | 1.22 | 1.21 | 1.77 |
| 19:00 | 173 | სტირლინგი-არბროთი | 1.70 | 3.60 | 4.00 | 1.15 | 1.19 | 1.89 |
| 19:00 | 174 | სტრანრარი-ალოა | 2.30 | 3.50 | 2.60 | 1.38 | 1.22 | 1.49 |
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 175 | ისტ სტირლინგი-ანანი | 1.75 | 3.60 | 3.70 | 1.17 | 1.18 | 1.82 |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 176 | ფორფარი-ბერიკი | 1.65 | 3.60 | 4.35 | 1.13 | 1.19 | 1.96 |
| 19:00 | 177 | ალბიონი-ანანი | 1.65 | 3.60 | 4.30 | 1.13 | 1.19 | 1.95 |
| 19:00 | 178 | კოუდენბითი-სტენჰაუსმური | 2.50 | 3.40 | 2.40 | 1.44 | 1.22 | 1.40 |
| 19:00 | 179 | ისტ სტირლინგი-დამბარტონი | 3.30 | 3.60 | 1.85 | 1.72 | 1.18 | 1.22 |
| 19:00 | 180 | ელგინი-მონტროუზი | 3.30 | 3.50 | 1.90 | 1.69 | 1.20 | 1.23 |
| | | **გერმანია. I ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **14 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 197 | ჰანოვერი-ბოხუმი | 1.75 | 3.50 | 4.50 | 1.16 | 1.25 | 1.96 |
| 23:30 | 198 | ჰანოვერი-ბოხუმი 0:1 | 3.50 | 3.50 | 1.85 | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:30 | 199 | შტუტგარტი-არმინია | 1.35 | 4.50 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.94 |
| 18:30 | 200 | შტუტგარტი-არმინია 0:1 | 2.00 | 3.50 | 3.00 | | | |
| 18:30 | 201 | ლევერკუზენი-შალკე | 2.25 | 3.20 | 3.15 | 1.32 | 1.31 | 1.58 |
| 18:30 | 202 | ლევერკუზენი-შალკე 0:1 | 4.40 | 3.80 | 1.60 | | | |
| 18:30 | 203 | ჰერტა-ჰამბურგი | 2.35 | 3.30 | 2.80 | 1.37 | 1.27 | 1.51 |
| 18:30 | 204 | ჰერტა-ჰამბურგი 0:1 | 5.30 | 4.20 | 1.45 | | | |
| 18:30 | 205 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1.75 | 3.50 | 4.50 | 1.16 | 1.25 | 1.96 |
| 18:30 | 206 | დორტმუნდი-აინტრახტი 0:1 | 2.70 | 3.60 | 2.15 | | | |
| 18:30 | 207 | ენერგია-კარლსრუე | 2.35 | 3.20 | 3.00 | 1.35 | 1.31 | 1.54 |
| 18:30 | 208 | ენერგია-კარლსრუე 0:1 | 5.00 | 3.80 | 1.55 | | | |
| 18:30 | 209 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი | 5.50 | 3.80 | 1.60 | 2.24 | 1.23 | 1.12 |
| 18:30 | 210 | მიონხენგლადბახი-ბაიერნი 1:0 | 2.50 | 3.70 | 2.30 | | | |
| 18:30 | 211 | ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი | 2.05 | 3.30 | 3.50 | 1.26 | 1.29 | 1.69 |
| 18:30 | 212 | ჰოფენჰაიმი-ვოლფსბურგი 0:1 | 4.20 | 3.70 | 1.65 | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 213 | ვერდერი-კიოლნი | 1.45 | 4.00 | 7.50 | 1.06 | 1.21 | 2.60 |
| 20:00 | 214 | ვერდერი-კიოლნი 0:1 | 2.15 | 4.00 | 2.50 | | | |
| | | **გერმანია. III ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:30 | 1130 | ვერდერი მ-დინამო | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:30 | 244 | რიდი-ზალცბურგი | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| 22:30 | 246 | ლინცერი-შტურმი | 2.95 | 3.20 | 2.30 | 1.53 | 1.29 | 1.33 |
| 22:30 | 248 | კაფენბერგი-მატერსბურგი | 2.35 | 3.30 | 2.80 | 1.37 | 1.27 | 1.51 |
| 22:30 | 249 | აუსტრია კერნტენი-ალტახი | 1.50 | 3.70 | 7.00 | 1.06 | 1.23 | 2.42 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **13 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 320 | იუვენტუსი-ჯენოა | 1.60 | 3.50 | 6.00 | 1.09 | 1.26 | 2.21 |
| 23:30 | 321 | იუვენტუსი-ჯენოა 0:1 | 2.60 | 3.40 | 2.35 | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 314 | პალერმო-ინტერი | 4.30 | 3.00 | 1.90 | 1.76 | 1.31 | 1.16 |
| 23:30 | 315 | პალერმო-ინტერი 1:0 | 1.85 | 3.50 | 3.60 | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 302 | სიენა-ბოლონია | 1.85 | 3.10 | 4.50 | 1.15 | 1.31 | 1.83 |
| 18:00 | 303 | სიენა-ბოლონია 0:1 | 3.60 | 3.50 | 1.80 | | | |
| 18:00 | 304 | კატანია-ტორინო | 2.05 | 3.00 | 4.00 | 1.21 | 1.35 | 1.71 |
| 18:00 | 305 | კატანია-ტორინო 0:1 | 4.30 | 3.60 | 1.60 | | | |
| 18:00 | 306 | სამპდორია-ლეჩე | 1.70 | 3.20 | 5.80 | 1.11 | 1.31 | 2.06 |
| 18:00 | 307 | სამპდორია-ლეჩე 0:1 | 2.80 | 3.20 | 2.25 | | | |
| 18:00 | 308 | კალიარი-ფიორენტინა | 3.00 | 2.90 | 2.55 | 1.47 | 1.37 | 1.35 |
| 18:00 | 309 | კალიარი-ფიორენტინა 1:0 | 1.50 | 4.00 | 5.20 | | | |
| 23:30 | 310 | რომა-ლაციო | 2.15 | 3.05 | 3.50 | 1.26 | 1.33 | 1.62 |
| 23:30 | 311 | რომა-ლაციო 0:1 | 5.00 | 3.80 | 1.55 | | | |
| 18:00 | 312 | ატალანტა-ნაპოლი | 2.85 | 3.00 | 2.60 | 1.46 | 1.35 | 1.39 |
| 18:00 | 313 | ატალანტა-ნაპოლი 1:0 | 1.40 | 4.30 | 5.50 | | | |
| 18:00 | 316 | მილანი-კიევო | 1.20 | 6.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 4.08 |
| 18:00 | 317 | მილანი-კიევო 0:1 | 1.70 | 3.70 | 4.00 | | | |
| 18:00 | 318 | უდინეზე-რეჯინა | 1.40 | 4.00 | 9.00 | 1.03 | 1.21 | 2.76 |
| 18:00 | 319 | უდინეზე-რეჯინა 0:1 | 2.15 | 3.50 | 2.80 | | | |
| | | **ესპანეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:55 | 398 | ვალენსია-ხიხონი | 1.35 | 4.50 | 8.50 | 1.03 | 1.16 | 2.94 |
| 23:55 | 399 | ვალენსია-ხიხონი 0:1 | 2.00 | 3.60 | 3.00 | | | |
| 23:00 | 404 | ვალიადოლიდი-რეალი | 4.10 | 3.40 | 1.85 | 1.85 | 1.27 | 1.19 |
| 23:00 | 405 | ვალიადოლიდი-რეალი 1:0 | 1.90 | 3.50 | 3.25 | | | |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 390 | ატლეტიკო-დეპორტივო | 1.65 | 3.50 | 5.70 | 1.12 | 1.27 | 2.16 |
| 20:00 | 391 | ატლეტიკო-დეპორტივო 0:1 | 2.80 | 3.40 | 2.15 | | | |
| 20:00 | 392 | ხეტაფე-სევილია | 2.85 | 3.20 | 2.45 | 1.50 | 1.31 | 1.38 |
| 20:00 | 393 | ხეტაფე-სევილია 1:0 | 1.50 | 4.00 | 5.35 | | | |
| 22:00 | 394 | ბილბაო-ოსასუნა | 2.15 | 3.20 | 3.40 | 1.28 | 1.31 | 1.64 |
| 22:00 | 395 | ბილბაო-ოსასუნა 0:1 | 4.20 | 3.60 | 1.65 | | | |
| 20:00 | 396 | ალმერია-მალიორკა | 1.95 | 3.30 | 3.70 | 1.22 | 1.27 | 1.74 |
| 20:00 | 397 | ალმერია-მალიორკა 0:1 | 4.00 | 3.60 | 1.70 | | | |
| 20:00 | 400 | მალაგა-ვილიარეალი | 3.25 | 3.25 | 2.20 | 1.62 | 1.31 | 1.31 |
| 20:00 | 401 | მალაგა-ვილიარეალი 1:0 | 1.65 | 3.70 | 4.30 | | | |
| 20:00 | 402 | ბეტისი-რასინგი | 1.95 | 3.25 | 3.80 | 1.21 | 1.28 | 1.75 |
| 20:00 | 403 | ბეტისი-რასინგი 0:1 | 3.80 | 3.50 | 1.75 | | | |
| 20:00 | 406 | ესპანიოლი-ნუმანსია | 1.70 | 3.40 | 5.25 | 1.13 | 1.28 | 2.06 |
| 20:00 | 407 | ესპანიოლი-ნუმანსია 0:1 | 3.10 | 3.40 | 2.00 | | | |
| 23:55 | 408 | უელვა-ბარსელონა | 8.00 | 4.50 | 1.35 | 2.88 | 1.15 | 1.03 |
| 23:55 | 409 | უელვა-ბარსელონა 1:0 | 3.10 | 3.70 | 1.90 | | | |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 461 | ნანსი-კაენი | 2.05 | 2.90 | 4.10 | 1.20 | 1.36 | 1.69 |
| 22:00 | 463 | ოსერი-სოშო | 1.90 | 3.00 | 4.50 | 1.16 | 1.33 | 1.79 |
| 22:00 | 465 | ლე ავრი-პსჟ | 3.10 | 3.00 | 2.25 | 1.52 | 1.30 | 1.28 |
| 22:00 | 467 | ლე მანი-ვალენსიენი | 1.65 | 3.25 | 5.50 | 1.09 | 1.26 | 2.04 |
| 23:55 | 469 | ლილი-სტ.ეტიენი | 1.80 | 3.15 | 4.50 | 1.14 | 1.28 | 1.85 |
| 22:00 | 477 | ტულუზი-გრენობლი | 1.95 | 3.10 | 4.15 | 1.19 | 1.32 | 1.77 |
| 22:00 | 479 | მარსელი-ლორიანი | 1.50 | 3.50 | 8.00 | 1.04 | 1.26 | 2.43 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:55 | 471 | ლიონი-ბორდო | 1.75 | 3.20 | 5.00 | 1.13 | 1.29 | 1.95 |
| 20:00 | 473 | ნიცა-ნანტი | 1.80 | 3.10 | 4.85 | 1.13 | 1.31 | 1.89 |
| 20:00 | 475 | რენი-მონაკო | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| | | **საბერძნეთი. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 558 | აეკ-პანსერაიკოსი | 1.25 | 5.50 | 10.00 | 1.01 | 1.11 | 3.54 |
| 18:45 | 564 | ლარისა-პანათინაიკოსი | 4.50 | 3.40 | 1.70 | 1.93 | 1.23 | 1.13 |
| 21:00 | 566 | არისი-ასტერასი | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 560 | ოლიმპიაკოსი-პაოკ | 1.55 | 3.60 | 6.00 | 1.08 | 1.23 | 2.25 |
| 18:45 | 562 | პანთრაკიკოსი-ქსანთი | 2.80 | 3.10 | 2.45 | 1.47 | 1.30 | 1.36 |
| 17:00 | 567 | ერგოტელისი-თრასივულოსი | 1.65 | 3.40 | 5.50 | 1.11 | 1.26 | 2.10 |
| 17:00 | 568 | ლევადიაკოსი-ოფი | 2.35 | 3.10 | 3.00 | 1.33 | 1.31 | 1.52 |
| 21:00 | 569 | პანიონიოსი-ირაკლისი | 1.75 | 3.40 | 4.50 | 1.15 | 1.25 | 1.93 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **12 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 587 | იაგელონია-გურნიკი | 2.10 | 3.20 | 3.25 | 1.26 | 1.27 | 1.61 |
| 22:30 | 588 | ოდრა-ვისლა | 5.00 | 3.30 | 1.70 | 1.98 | 1.26 | 1.12 |
| 20:30 | 592 | პოლონია ბ-ლეხი | 3.50 | 3.30 | 2.00 | 1.69 | 1.27 | 1.24 |
| 20:30 | 594 | ლახია-ლოძი | 1.75 | 3.20 | 4.80 | 1.13 | 1.28 | 1.91 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 638 | ორჰუსი-სონდერიისკე | 1.60 | 3.70 | 5.80 | 1.11 | 1.25 | 2.25 |
| 20:00 | 639 | ბრიონდბიუ-ნორდსიელანდი | 1.45 | 4.30 | 6.80 | 1.08 | 1.19 | 2.63 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 640 | ოდენსე-ვეილე | 1.40 | 4.50 | 7.50 | 1.06 | 1.17 | 2.81 |
| 19:00 | 641 | ჰორსენსი-რანდერსი | 2.75 | 3.30 | 2.45 | 1.50 | 1.29 | 1.40 |
| 19:00 | 642 | ოლბორგი-ესბიერგი | 1.85 | 3.40 | 4.15 | 1.19 | 1.27 | 1.86 |
| 20:30 | 643 | მიდტიულანდი-კოპენჰაგენი | 2.55 | 3.30 | 2.60 | 1.43 | 1.28 | 1.45 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **15 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 644 | ტისტედი-ვიბორგი | 4.60 | 3.90 | 1.65 | 2.11 | 1.21 | 1.15 |
| | | **16 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:00 | 645 | ფრემი-ჰერფოლგე | 4.00 | 3.80 | 1.75 | 1.94 | 1.21 | 1.19 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:00 | 646 | კიევ-როსკილდე | 2.05 | 3.50 | 3.20 | 1.29 | 1.24 | 1.67 |
| 18:00 | 648 | კოლდინგი-ფრედერისია | 2.05 | 3.50 | 3.20 | 1.29 | 1.24 | 1.67 |
| 18:00 | 649 | ლოლანდი-ჰვიდოვრე | 2.50 | 3.40 | 2.55 | 1.44 | 1.26 | 1.45 |
| 18:00 | 650 | ლიუნგბიუ-სილკებორგი | 2.00 | 3.50 | 3.25 | 1.27 | 1.23 | 1.68 |
| 18:00 | 651 | ნესტვედი-აკადემისკი | 2.70 | 3.40 | 2.35 | 1.50 | 1.25 | 1.38 |
| | | ნორვეგია. ტიპელიგა | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 21 | ალესუნდი-სოგნდალი | 1.50 | 4.60 | 5.10 | 1.13 | 1.15 | 2.41 |
| | | მექსიკა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 664 | ატლანტე-ტეკოსი | 1.80 | 3.40 | 3.75 | 1.17 | 1.21 | 1.78 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 685 | ატლეტიკო მნ-ვასკუ და გამა | 1.85 | 3.30 | 3.95 | 1.18 | 1.25 | 1.79 |
| | | ფიფა. ქალები 17 მჩ 2008 1/2 ფინალი (ახ ზელანდია) | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 13 | ჩრდ კორეა17-ინგლისი17 | 1.70 | 3.40 | 3.85 | 1.13 | 1.17 | 1.80 |
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 10:00 | 14 | გერმანია17-აშშ17 | 1.85 | 3.40 | 3.50 | 1.19 | 1.21 | 1.72 |
| | | ინგლისი. Carling Cup | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 703 | ჩელსი-ბარნლი | 1.20 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.91 |
| 23:45 | 705 | სანდერლენდი-ბლექბერნი | 2.35 | 3.25 | 2.90 | 1.36 | 1.29 | 1.53 |
| 23:45 | 707 | ტოტენჰემი-ლივერპული | 2.60 | 3.30 | 2.55 | 1.45 | 1.28 | 1.43 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 16 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 22 | ერდრი-როსი | 2.65 | 3.30 | 2.30 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| | | ესპანეთი. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 709 | ვალიადოლიდი-ერკულესი | 1.70 | 3.30 | 4.80 | 1.12 | 1.25 | 1.95 |
| 23:00 | 710 | ვილიარეალი-ეხიდო | 1.25 | 4.80 | 9.50 | 1.00 | 1.10 | 3.18 |
| 23:55 | 711 | ბეტისი-კასტელონი | 1.55 | 3.50 | 5.50 | 1.07 | 1.20 | 2.13 |
| 23:55 | 713 | უელვა-ბილბაო | 2.35 | 3.00 | 2.90 | 1.31 | 1.29 | 1.47 |
| 23:55 | 714 | ბარსელონა-ბენიდორმი | 1.12 | 7.00 | 15.00 | 1.00 | 1.04 | 4.77 |
| 23:55 | 716 | ატლეტიკო-ორიუელა | 1.17 | 6.00 | 12.00 | 1.00 | 1.06 | 4.00 |
| 23:55 | 717 | ხიხონი-ნუმანსია | 1.85 | 3.20 | 3.80 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 23:55 | 718 | ვალენსია-პორტუგალეტე | 1.20 | 5.80 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.91 |
| 23:55 | 719 | მალიორკა-მალაგა | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 23:55 | 721 | დეპორტივო-ელჩე | 1.55 | 3.50 | 6.00 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 23:55 | 722 | რასინგი-მურსია | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| 23:00 | 723 | ესპანიოლი-ხელტა | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 23:55 | 724 | ალმერია-ვალეკანო | 1.60 | 3.50 | 5.20 | 1.09 | 1.22 | 2.09 |
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 715 | ოსასუნა-ხეტაფე | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:55 | 720 | სევილია-პონფერადინა | 1.15 | 7.00 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.66 |
| | | საფრანგეთი. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 731 | ლე ავრი-რენი | 2.60 | 2.90 | 2.60 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| 23:55 | 732 | პსჟ-ნანსი | 1.80 | 3.10 | 4.50 | 1.13 | 1.28 | 1.83 |
| | | ბელგია. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 1109 | შარლერუა-რონსე | 1.35 | 4.30 | 7.00 | 1.02 | 1.13 | 2.66 |
| 23:00 | 1110 | ბრიუგე-ბევერენი | 1.15 | 6.50 | 10.00 | 1.00 | 1.03 | 3.93 |
| 23:30 | 1111 | ბეერსხოტი-მეხელენი | 1.20 | 5.00 | 10.00 | 1.00 | 1.07 | 3.33 |
| 23:45 | 1112 | კორტრაიკი-სტანდარდი | 4.00 | 3.40 | 1.75 | 1.83 | 1.21 | 1.15 |
| | | ჰოლანდია. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 2 | ჰარდენბერგი-ფეიენოორდი | 12.00 | 7.00 | 1.11 | 4.42 | 1.01 | 1.00 |
| 21:30 | 7 | ვოლენდამი-აიაქსი | 7.70 | 4.40 | 1.35 | 2.79 | 1.14 | 1.03 |
| 23:00 | 8 | ეინდჰოვენი-ტვენტე | 6.20 | 3.80 | 1.40 | 2.35 | 1.14 | 1.02 |
| 23:00 | 9 | დენ ჰააგი-სიტარდი | 1.35 | 3.85 | 7.25 | 1.00 | 1.13 | 2.51 |
| 23:45 | 10 | ალკმაარი-პსვ | 2.10 | 3.30 | 3.10 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 23:00 | 11 | სპარტა-კამბური | 1.50 | 3.80 | 5.50 | 1.07 | 1.17 | 2.24 |
| 23:00 | 12 | ტელსტარი-გრონინგენი | 7.00 | 4.20 | 1.35 | 2.62 | 1.13 | 1.02 |
| | | საბერძნეთი. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 734 | ატრომითოსი-არისი | 3.00 | 2.90 | 2.35 | 1.47 | 1.31 | 1.29 |
| 17:00 | 735 | ვერია-თრასივულოსი | 2.90 | 3.10 | 2.25 | 1.49 | 1.26 | 1.30 |
| 19:00 | 1131 | ეთნიკოსი-ერგოტელისი | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |
| 21:00 | 1132 | კავალა-პანათინაიკოსი | 9.00 | 5.00 | 1.20 | 3.21 | 1.05 | 1.00 |
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 17:00 | 1133 | კასტორია-ირაკლისი | 4.00 | 3.00 | 1.85 | 1.71 | 1.26 | 1.14 |
| | | თურქეთი. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 16:00 | 736 | ალანია-სივა | 8.50 | 5.00 | 1.25 | 3.14 | 1.08 | 1.00 |
| 16:00 | 737 | მალათია-ანკარა | 6.00 | 3.70 | 1.45 | 2.28 | 1.16 | 1.04 |
| 22:00 | 739 | ბურსა-ანკარაგიუჯუ | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 18:00 | 1113 | კონია-დენიზლი | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 738 | გალათასარაი-კაისერი | 1.45 | 3.70 | 6.60 | 1.04 | 1.18 | 2.37 |
| | | იტალია. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 742 | ნაპოლი-სალერნიტანა | 1.35 | 4.20 | 8.50 | 1.02 | 1.16 | 2.81 |
| 22:30 | 743 | სამპდორია-ემპოლი | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| 18:00 | 746 | უდინეზე-რეჯინა.... | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| | | დანია. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 21:00 | 15 | ლიუნგბიუ-კოპენჰაგენი | 10.00 | 5.00 | 1.25 | 3.33 | 1.11 | 1.00 |
| 22:00 | 17 | ნორდსიელანდი-ოლბორგი | 2.40 | 3.40 | 2.60 | 1.40 | 1.24 | 1.47 |
| 22:00 | 18 | ნორდვესტი-ჰორსენსი | 9.00 | 4.50 | 1.30 | 3.00 | 1.13 | 1.00 |
| 23:00 | 20 | ოდენსე-ბრიონდბიუ | 2.25 | 3.50 | 2.80 | 1.36 | 1.24 | 1.55 |
| | | სამხრეთ ამერიკა. თასი | | | | | | |
| | | 12 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 1102 | გუადალახარა-ინტერნასიონალი | 2.05 | 3.20 | 3.45 | 1.24 | 1.28 | 1.66 |
| | | 13 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 1101 | არგ. ხუნიორსი-ესტუდიანტესი | 2.20 | 3.20 | 3.15 | 1.30 | 1.29 | 1.58 |

ჭადრაკი



# საჭადრაკო ოლიმპიადა გვიან, მაგრამ მაინც გაახსენდათ

**გერმანიის** ქალაქ დრეზდენში 12-25 ნოემბერს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა ჩატარდება. ტურნირი შვეიცარიული სისტემით, 11 ტურად გაიმართება და მასში საქართველოს კაცთა და ქალთა ნაკრებები ითამაშებენ.

თითოეული გუნდის შემადგენლობაში ოთხი ძირითადი და ერთი სათადარიგო მოჭადრაკე იქნება. საქართველოს ქალთა ნაკრების ღირსებას მაია ჩიბურდანიძე, ნანა ძაგნიძე, ლელა ჯავახიშვილი, მაია ლომინეიშვილი და სოფიკო ხუხაშვილი (სათადარიგო) დაიცავენ. კაპიტანი ნინო გურიელია, ხოლო მწვრთნელი — თორნიკე სანიკიძე.

მამაკაცებში კი ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია და დავით არუთუნიანი (სათადარიგო) გამოვლენ. კაცებს ზურაბ სტურუა უკაპიტნებს. მწვრთნელი ხვიჩა სუპატაშვილია.

დელეგაციის ხელმძღვანელი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძეა.

ოლიმპიდასთან დაკავშირებით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც სპორტისა და კულტურის მინისტრმა გრიგოლ ვაშაძემ და გიორგი გიორგაძემ ისაუბრეს.

**გრიგოლ ვაშაძე:** ჩემთვის დიდი პატივია გამოჩენილ მოჭადრაკეებთან ერთად რომ ვარ. გისურვებთ წარმატებას. თქვენი მატიანე და მიღწევები გაცილებით დიდია, ვიდრე საქართველოში სხვა სპორტული სახეობებისა. თქვენ გვერდით გვიგულეთ, რითაც შევძლია, აუცილებლად დაგეხმარებით.

**გია გიორგაძე:** სამი თვეა, რაც ჭადრაკის ფედერაციაში ცვლილებები მოხდა. აღმოიფხვრა შიდა დაძაბულობები. ვფიქრობ, ეს ჩვენი უმთავრესი პრობლემა იყო. ახლა მხოლოდ შედეგებზე ვართ ორიენტირებულნი. ოლიმპიადისთვის ფინანსები გამოიყო, არადა, ეს წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული არ ჰქონდა სპორტის დეპარტამენტს. დახმარებისთვის დეპარტამენტს მადლობას ვუხდი. ბაკურიანში ნაყოფიერი შეკრება გავიარეთ. ქალები, ალბათ, მედლისთვის იბრძოლებენ. კაცებისთვის კი ოპტიმალური ათეულში მოხვედრა იქნება.

ამის შემდეგ ჟურნალისტებს დარბაზის დატოვება მოგვთხოვეს. სპორტის მინისტრმა მოჭადრაკეებთან და ფედერაციის მესვეურებთან მედიის გარეშე ისაუბრა.

**ზურაბ მიბრიაული**

სუმო

# ტოჩინოშინის უცუდესი

**ქართველი** სუმოისტებისთვის წარუმატებელი გამოდგა ნოემბრის ბაშოს მესამე დღე. ფუკუოკაში გუშინ კოკაიც და ტოჩინოშინიც დამარცხდნენ. თუკი ცაგურიასთვის ეს პირველი წაგება იყო, გორგოძეს ჯერ გამარჯვების გემოც კი არ გაუგია მიმდინარე ტურნირზე.

ჩვენებურთაგან პირველად დოჰიოზე ლევან ცაგურია გავიდა. მისი მეტოქე დასავლეთის მეთორმეტე მაეგაშირა კასუგანიშიკი იყო. ამ სუმოისტმა ქართველი კოკაის წრიდან განდევნა მოახერხა და ლევანმაც პირველად წააგო. ახლა მას ორი მოგება და ერთი წაგება აქვს.

სამწუხაროდ, ზედიზედ მესამედ დამარცხდა ტოჩინოშინი, რომელსაც ამჯერად აღმოსავლეთის მესამე მაეგაშირა კოტოშოგიკუმ აჯობა. ისე კი, უნდა ითქვას, რომ ასე ცუდად ლევან გორგოძეს ჯერ არც ერთი ტურნირი არ დაუწყია მაკუუჩი ანუ ელიტარულ დივიზიონში.




მას პირველი მოგების საუკეთესო შანსი დღეს მიეცემა, როდესაც დოჰიოზე დასავლეთის მერვე მაეგაშირა კაკიმოეს წინააღმდეგ წარდგება. კაკიმოეს, ჩვენიანის არ იყოს, ჯერ არ უგემია გამარჯვების გემო ფუკუოკაში, ახლა კი რომელიმე ცოტათი აუცილებლად გამოისწორებს ბალანსს და პირველ გამარჯვებას ჩაიწერს აქტივში.

სამაგიეროდ, კოკაის დღეს ეყოლება კარგ ფორმაში მყოფი მეტოქე. ლევანი აღმოსავლეთის მეთორმეტე მაეგაშირას, იოშიკაძეს შეერკინება. ამ უკანასკნელს ჯერჯერობით სამი შეხვედრიდან, ამდენივე გამარჯვება აქვს.

გუშინ ზედიზედ მეორე მოგება გაიფორმა იოკოძუნა ჰაკუჰომ. მონღოლი მებრძოლი პირველ დღეს წაგების შემდეგ ისე ჭიდაობს, მისგან როგორც ელიან. ამჯერად ჩემპიონტმა დასავლეთის პირველ მაეგაშირა ფუენტოს აჯობა. მას ახლა ორი გამარჯვება და ერთი წაგება აქვს.

სამაგიეროდ, ოთხი ოძეკიდან სამმა წააგო თავისი გუშინდელი შეხვედრა. ახლა სამივე მათგანს ერთ გამარჯვებასთან ერთად, ორი წაგებაც უწერია. დასავლეთის ოძეკმა კოტოოშუმ ვერაფერი მოუხერხა დასავლეთის კომისუბ ამინიშიკს, რომელსაც უკვე სამი მოგება აქვს და რაც მთავარია, კომისუბმა ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა იოკოძუნა და ორი ოძეკი.

ასევე დამარცხდა დასავლეთის კიდევ ერთი ოძეკი კაიო. მას დასავლეთის მეორე მაეგაშირა ვაკანოსატომ მოუგო. მესამე დამარცხებული ოძეკი გახლავთ ჩიოტაიკაი. მან თავისი შეხვედრა წააგო აღმოსავლეთის პირველ მაეგაშირა ტოიონოშიმასთან.

ერთადერთი ოძეკი, რომელმაც მესამე დღეს იმარჯვა, აღმოსავლელი კოტომიცუკია. მისი მეტოქე დასავლეთის მესამე მაეგაშირა ჰოკუტორიკი იყო.

ასეთი არეული ტურნირი, უკვე კარგა ხანია, არ გამართულა და მაკუუჩი დივიზიონში ვინ ვისთან აგებს, ყოვლად გაუგებარია. წესით, ნელ-ნელა სიტუაცია უნდა გამოსწორდეს და პროგნოზირებადი გახდეს. წარმოუდგენელია, ბოლომდე გაგრძელდეს ეს არეულობა. თუმცა, ალბათ, ეს არაპროგნოზირებადობა, გარკვეულწილად, თავისებურ ხიბლსაც სძენს ნოემბრის ბაშოს.

**გიორგი არაბული**

კალათბურთი

# კაცი, რომელიც ყველგან თამაშობს

**18-წლამდელთა ჩემპიონატი**

6 ნოემბერი. აკადემიის დარბაზი

**ნაკრები-93 68:77 მართვე-1**

**ნაკრები-93:** ფხაკაძე (14), ფეიქრიშვილი (14), გულმაგარაშვილი (11)
**მართვე:** ტეტელაშვილი (21), ქოხონელიძე (16), ძიძიაშვილი (13)

8 ნოემბერი. აკადემიის დარბაზი

**ენერჯი-ინვესტი 46:56 აკადემია**

**ენერჯი:** გურაბანიძე (13), მაღრაძე (11)
**აკადემია:** ბოქოლიშვილი (23), ჯავახიშვილი (11 ქულა, 11 მოხსნა

**მართვე-2 78:83 რუსთავი**

**მართვე-2:** ქიქვეიშვილი (25), გლოველი (21), ლომაური (4 ქულა, 12 მოხსნა)
**რუსთავი:** დვალიშვილი (35 ქულა, 24 მოხსნა), არაბული (12), გურული (12)

8 ნოემბერი. ქუთაისი

**ქუთაისი 82:68 სამედიცინო**

**ქუთაისი:** ტუკვაძე (23), ბერბერაძე (18), ქორიძე (17 ქულა, 12 მოხსნა)
**სამედიცინო:** ლეჟავა (19), ჩქარეული (16), ბექაური (16 ქულა, 10 მოხსნა)

**20-წლამდელთა ჩემპიონატი**

7 ნოემბერი. ქუთაისი

**ქუთაისი 71:84 აკადემია**

**ქუთაისი:** კანდელაკი (20), ქორიძე (18)
**აკადემია:** ბოქოლიშვილი (17), ჯავახიშვილი (15), სალინაძე (12)

**გასულ** უქმეებზე საქართველოს ახალგაზრდული საკალათბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის შეხვედრები გაიმართა.

18-წლამდელთა ჩემპიონატში, მეორე ტურის ყველა შეხვედრა ჩატარდა, 20-წლამდელებში კი — მხოლოდ ერთი.

1991-1992 წლებში დაბადებულთა ჩემპიონატის ძირითადი მატჩები თბილისში, „აკადემიის" დარბაზში ჩატარდა, ერთ შეხვედრას კი ქუთაისმა უმასპინძლა. 20-წლამდელთა ჩემპიონატის ერთადერთი თამაშიც ქუთაისში ჩატარდა.

ასაკით უმცროსების ჩემპიონატში ძალიან საინტერესოდ ვითარდება მოვლენები. ზედიზედ მეორე შეხვედრაში დამარცხდა კონკურსგარეშე მოთამაშე „ნაკრები-93" მას ამჯერად „მართვემ" სძლია.

„მართვეს" მეორე გუნდი კი „რუსთავთან" დამარცხდა, რომლის შემადგენლობაშიც საოცარი შეხვედრა ჩაატარა აკაკი დვალიშვილმა — 35 ქულა და 24 მოხსნა. მისმა „რუსთავმა" 83:78 მოიგო.

„აკადემიამ" „ენერჯი-ინვესტს" აჯობა. ეს „ენერჯი" რუსთაველში არ აგერიოთ, თბილისის გუნდია და ტურის მასპინძლებთან 46:56 დამარცხდა.

ქუთაისში კი ადგილობრივმა „ქუთაისმა" საკმაო სხვაობით მოუგო „სამედიცინოს" — 82:68. ეს შეხვედრა სპორტსკოლის დარბაზში გაიმართა.

20-წლამდელთა ჩემპიონატში „ქუთაისი" და „აკადემია" შეხვდნენ. გამარჯვება სტუმრებს დარჩათ, 84:71. მათ მოგებაში ლომის წილი დაიდო მერაბ ბოქოლიშვილმა, რომელიც ამასთან ერთად „აკადემიის" 18-წლამდელთა გუნდში და უმაღლესი ლიგის „სასოფლოშიც" თამაშობს.

რაგბი

# რეიტინგში სიმშვიდეა
## რუსეთს ესპანეთმა ვერ არგო



**გასული** უქმეების ტესტ-მატჩების შემდეგ გამოქვეყნდა რაგბის საერთაშორისო საბჭოს (IRB) ახალი რეიტინგი. საქართველოს ნაკრები 69.43 სარეიტინგო ქულით კვლავაც მე-14 პოზიციაზეა.

რეიტინგში უცვლელია პირველი სამეული. არგენტინის ნაკრებმა მეოთხე საფეხურიდან მეხუთეზე ჩაინაცვლა და ადგილი დაუთმო ინგლისის ნაკრებს, რომელსაც შაბათის ტესტი არ უთამაშია. მეექვსე პოზიციაზე ავიდა საფრანგეთის ეროვნული გუნდი. „მამლებმა" რეიტინგი არგენტინელების მოგების წყალობით გაიუმჯობესეს.

აშშ-ის ნაკრებმა მოუგო ურუგვაის და ადგილიც გაუცვალა. ერთათასზე რუსებმა ესპანელები კი დაჯაბნეს, მაგრამ ამ შედეგს რეიტინგში ცვლილება არ მოჰყოლია.

საქართველოს ნაკრების 14 და 18 ნოემბერს გასამართი შეხვედრები ჩვენების რეიტინგზე არ იმოქმედებს, ვინაიდან ეს მატჩები ამხანაგურია.

**ზურაბ მიგრიაული**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ახალი ზელანდია | 92.41 |
| 2. | სამხრეთ აფრიკა | 88.28 |
| 3. | ავსტრალია | 85.65 |
| 4. | ინგლისი | 83.16 |
| 5. | არგენტინა | 82.22 |
| 6. | საფრანგეთი | 80.13 |
| 7. | უელსი | 79.58 |
| 8. | ირლანდია | 77.18 |
| 9. | შოტლანდია | 76.92 |
| 10. | იტალია | 75.24 |
| 11. | ფიჯი | 75.24 |
| 12. | სამოა | 72.57 |
| 13. | ტონგა | 70.05 |
| 14. | **საქართველო** | 69.43 |
| 15. | კანადა | 69.12 |
| 16. | იაპონია | 67.35 |
| 17. | რუმინეთი | 67.20 |
| 18. | რუსეთი | 64.63 |
| 19. | აშშ | 64.25 |
| 20. | ურუგვაი | 62. 55 |
| 21. | ესპანეთი | 60.86 |
| 22. | ს. კორეა | 59.02 |
| 23 | პორტუგალია | 58.57 |
| 24. | ჩილე | 57.07 |
| 25. | გერმანია | 57.05 |

ხელბურთი



# საქართველოს ჩემპიონატი მთასავით არის: ვერ იძვრება
## ფხაკაძემ ნაკრები ჩამოწერა

**გუშინ** საქართველოს ხელბურთელთა ჩემპიონატი უნდა დაწყებულიყო, მაგრამ უკვე მესამედ გადაიდო და როდის დაიწება, ან საერთოდ დაიწყება თუ არა, კაცი ვერ იტყვის...

ეროვნული პირველობა ჯერ სექტემბერში უნდა დაწყებულიყო, მერე 3 ნოემბერს, რადგან გუნდებმა ხელბურთის ფედერაციაში სამონაწილეო თანხა 1000 ლარი ვერ შეიტანეს. მოქმედი ჩემპიონი სტუ კი სულაც გაურკვეველ მდგომარეობაში იყო და ისიც არ იცოდა, საერთოდ, თუ მოახერხებდა ჩემპიონატში თამაშს. ამიტომ ფედერაციამ პირველობის საწყისი ტური 11 ნოემბერს დაგეგმა იმ იმედით, რომ გუნდები საორგანიზაციო საკითხებს მანამდე მოაგვარებდნენ, თუმც მოვიდა 11 ნოემბერი და...

ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ზურაბ კაკაბაძემ გვითხრა, რომ ყველაფერი 22 ნოემბრის საარჩევნო ყრილობის შემდეგ უნდა გადაწყდეს.

შეგახსენებთ: თამაზ თევზაძის გადადგომის შემდეგ ხელბურთის ფედერაციამ 29 ივნისის რიგგარეშე ყრილობაზე ახალი პრეზიდენტი, ცნობილი მკლავჭიდელი ზაურ ცხადაძე აირჩია, თუმც მაშინვე ცნობილი იყო, რომ ოლიმპიადის შემდეგ კიდევ ერთხელ ჩატარდებოდა არჩევნები და პრეზიდენტს ამჯერად უკვე ოთხი წლის ვადით აირჩევდნენ.

8 ნოემბერს ფედერაციაში კანდიდატების რეგისტრაციის ბოლო დღე იყო და განაცხადი მხოლოდ ერთმა კაცმა, ზაზა დოლიძემ შეიტანა. დოლიძე სტუ-მ წარადგინა.

მოკლედ, 22 ნოემბერიც მალე მოვა და ეგებ ჩემპიონატის დაწყებასაც დაადგეს საშველი...

რაც შეეხება ნაკრებს, როგორც ჩანს, ბიჭები პოლონეთის ოთხთა ტურნირზე მოუმზადებლად წავლენ. ყოველ შემთხვევაში, ზურაბ კაკაბაძემ ვერ გვითხრა, მოხერხდება თუ არა შეკრების გავლა. არადა, დროც აღარ რჩება. ნაკრები პოლონეთს 25 ნოემბერს უნდა ესტუმროს.

ადრეც ვწერდით, ნაკრებს ეს ტურნირი ევროშესარჩევში უთამაშებლობით შექმნილი სიცარიელის შესავსებად უნდა გამოეყენებინა, მაგრამ გამოდის, რომ ბიჭები ერთად ვარჯიშს თამაშამდე ორჯერ თუ მოახერხებენ.

როგორც ვთქვით, ნაკრები პოლონეთში 25-ში ჩავა, 26 ნოემბერს კი პირველი შეხვედრა უწევს, ვისთან, ეს ჯერ გასარკვევია. 29 ნოემბერს კი პოლონეთის ეროვნულ ნაკრებთან ამხანაგური თამაშია.

ნაკრების თავკაცმა იმედო ფხაკაძემ ტურნირზე წასაყვანად 16 ხელბურთელი შეიგულა: *შოთა თევზაძე („ბაკაუ", რუმინეთი), კორნელი ანდრიაძე („თბილისი"), გაგა ტორონჯაძე (სტუ), ილია გოგალაძე (სტუ), უჩა მაისურაძე („თბილისი"), ირაკლი ჩიქოვანი („მეტალოპლასტიკა", სერბეთი), ვანო ქარდავა („თბილისი"), შოთა გრიშიკაშვილი („ორმანი", თურქეთი), გიორგი ჩიქოვანი (სტუ), რატი მხვილიძე (უგუნდო), სერგო დათუკაშვილი („გორენიე", სლოვენია), ვლადიმერ რუსია („დინამო", რუმინეთი), რევაზ ჭანტურია („მეტალურგი", მაკედონია), გიორგი წივწივაძე („თბილისი"), ლევან ბერძენიშვილი („ტრაბზონი", თურქეთი), აკაკი ტალახაძე (უგუნდო)*

**ლექსო მაისურაძე**

ჩოგბურთი

# პირველის მომგები მეექვსეზე წავიდა


ირაკლი ლაბაძე

**ქართველი** ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე უკრაინაშია. ის დნეპროპეტროვსკის მეექვსე ჩელენჯერზე ითამაშებს. ტურნირის საპრიზო ფონდი 125 ათასი აშშ დოლარია.

ლაბაძეს პირველ მეტოქედ რუსი მიხაილ ელგინი ერგო, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში, რუს ტრუსუნოვსა და ჩეხ ჰენრიხს შორის მოგებულს შეერკინება.

დნეპროპეტროვსკული ტურნირი, შეიძლება, ლაბაძისთვის იღბლიანად ჩაითვალოს. 2003 წელს პირველი ჩელენჯერი სწორედ ირაკლიმ მოიგო, როცა ფინალში ებრაელი ლევი დაჯაბნა. ეს შეჯიბრი PEOPLEE CUP-ის სახელს ატარებს. ლაბაძე ორგანიზატორების მიერ არის მიწვეული და ამიტომაც ძირითადი ბადიდან იწყებს თამაშს.

ანა ტატიშვილი კი სან დიეგოს 50 000-დოლარიან ტურნირზე პირველ რაუნდში ამერიკელ ნიკოლ გიბსს დაუპირისპირდება და თუ მოიგებს, მეორე რაუნდში მასპინძელ მაშონა ვაშინგტონსა და ერთ-ერთ კვალიფიკანტს შორის გამარჯვებულს შეხვდება. ტატიშვილი ტურნირზე მე-6 ნომრად არის განთესილი.

**ზურაბ მიგრიაული**

# ჯერ ცოლი და შვილიო
## აბრაჰამისგან გალახული მარკესი თავს გაუფრთხილდა



არტურ აბრაჰამი

**გასულ** უქმეებზე და შეიძლება ბოლო თვეების განმავლობაშიც ჯო კალძაგესა და როი ჯონსს შორის ნიუ იორკში გამართული ჯახი პროფესიულ კრივში მომხდარი უდავოდ ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. იქითკენ იყო მიპყრობილი კრივის გულშემატკივართა თუ სპეციალისტთა თითქმის მთელი ყურადღება. თუმც ეს იმას სულაც ნიშნავს, რომ ბოლო დღეებში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა.

ახლა სწორედ მსოფლიოს სხვა კუთხეებში დატრიალებულ ამბებზე გეტყვით, რომელთაგან უმთავრესი უდავოდ გერმანულ ბამბერგში გამართული ბრძოლა იყო, სადაც არტურ აბრაჰამი საშუალო წონაში თავის IBF-ის ქამარს იცავდა ტიტულის პრეტენდენტ რაულ მარკესისგან.

ბრძოლის დასაწყისი თანაბარი გამოდგა, რაც უპირველესად აბრაჰამის პასიურობით უნდა აიხსნას — სომხური წარმოშობის, მაგრამ გერმანიის სახელით მოასპარეზე მოკრივემ არცთუ დამაჯერებლად დაიწყო და ჩვეული შემტევი სტილის მაგივრად, აქცენტი სიფრთხილიზე გააკეთა. თუმც მალე გამოჩნდა, რომ ეს მხოლოდ დაზვერვა იყო და აბრაჰამს იმის გაგება სურდა, თუ რამდენად სახიფათო იყო მეტოქე.

მოკლედ, მესამე რაუნდიდან ჩემპიონი ჩაირთო და მარკესსაც მძიმე ცხოვრება დაუდგა. ამერიკელი იმდენად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რომ კონტრ-შეტევებზე აღარც ფიქრობდა და მხოლოდ თავის დაცვაზე ზრუნავდა, თუმც ესეც არცთუ სახარბიელოდ გამოსდიოდა. განსაკუთრებით მძიმე მარკესისთვის მეოთხე რაუნდი გამოდგა, რომელშიც მართალია, მან გაძლო და ფიცარნაგზე არ დავარდნილა, მაგრამ ძალიან სერიოზულად კი გაილახა — ყველაზე მძიმედ და მტკივნეულად კი მას კორპუსში მოხვდა, როცა აბრაჰამის დარტყმები ვერაფრით აიცილა.

მორიგი ჯოჯოხეთური სამწუთეული მარკესს მეექვსე რაუნდში დაუდგა, როცა მეტოქის მოქნეული ისევ რამდენჯერმე მოხვდა — მართალია, ნოკდაუნში არც ამჯერად ჩავარდნილა, მაგრამ ამან დაარწმუნა, რომ ბრძოლის გაგრძელება მაინდამაინც მიზანშეწონილი არ იყო. ჰოდა, ამერიკელიც ადგა და მეშვიდე რაუნდში რინგზე გასვლაზე უარი განაცხადა.

ეს კი თავისთავად, რომ წაგებას ნიშნავს და რეფერიმაც აბრაჰამს ტექნიკური ნოკაუტით მოგება ჩაუთვალა.

„გული მწყდება, რომ მან ასე ადრეულად დანებება გადაწყვიტა. ის კარგი მოკრივეა და არ მეგონა, ასე თუ გამექცეოდა. მე კი საუკეთესო თვისებების ჩვენება ვერ მოვასწარი, რადგანაც მხოლოდ შემდეგ რაუნდებში ვაპირებდი ჩემი ნამდვილი სიძლიერის წარმოჩენას" — ბაქიაობისა და თავის მოწონების შანსს ხელიდან როგორ გაუშვებდა აბრაჰამი.

„იცით, მე ცოლიც მყავს და შვილებიც და მათზე უნდა ვიფიქრო. აშკარად ველარ ვუმკლავდებოდი მის შეტევებს და თავი რაღაზე უნდა შემეკლა მისთვის" — საკმაოდ უხეიროდ იმართლა თავი მარკესმა, რომელსაც ამ სიტყვების შემდეგ ალბათ კარგა ხნით, შეიძლება სამუდამოდაც გადაეკეტა რინგზე მიმავალ გზა.

**ბახა ლომჯაშვილი**





ნოვაკ ჯოკოვიჩი

# ჯოკერმა დავიდენკოც გაჭრა

| |
|---|
| კაცები |
| მასტერსის თასი |
| შანხაი. ჩინეთი |
| ჰარდი (დარბაზი) |
| საპრიზო 4 450 000 დოლარი |

**ოქროს ჯგუფი**

**ხუან მარტინ დელ პოტრო (7, არგენტინა) — ჟო-ვილფრედ ცონგა (6, საფრანგეთი) 7:6 7:6; ნოვაკ ჯოკოვიჩი (2, სერბეთი) — ნიკოლაი დავიდენკო (4, რუსეთი) 7:6 0:6 7:5**

**2008 წლის** მასტერსის თასის მესამე სათამაშო დღემ უდავოდ გაამართლა იმედები, რადგანაც ორივე შეხვედრაში ძალიან დაძაბული, თანაბარი და რაც მთავარია, მაღალი დონის ჩოგბურთი ვიხილეთ — მოკლედ, ზუსტად ის მივიღეთ, რაც სეზონის ტოპ-მეჩოგნეთა შერკინებებისგან იყო მოსალოდნელი.

ყველაფერთან ერთად გუშინ ტურნირის პირველი ნახევარფინალისტის ვინაობაც გაირკვა — ნოვაკ ჯოკოვიჩმა ზედიზედ მეორე თამაში მოიგო და ჯგუფიდან, თანაც პირველი ადგილით გასვლა გაინაღდა. სერბისთვის მნიშვნელობა აღარ აქვს ჟო-ვილფრედ ცონგასთან შეხვედრას და შეუძლია, ფრანგს თავი აღარ შეაკლას.

ეს პრეროგატივა კი ჯოკოვიჩმა ნიკოლაი დავიდენკოს დამარცხებით მოიპოვა. თუმც სერბს საამისოდ თავისი საუკეთესო თვისებების ბოლომდე გამოყენება დასჭირდა, რადგანაც რუსმა მაგრად იბრძოლა და ცოტა რომ გამართლებოდა, ეგებ შეხვედრა სულ სხვა შედეგითაც დასრულებულიყო.

დავიდენკომ უკეთესად დაიწყო და თითქმის თავიდანვე დაწინაურდა — ჯოკოვიჩმა წესიერად გახურებაც ვერ მოასწრო, როცა უკვე გვარიანად ჩამორჩებოდა მეტოქეს. რუსმა ეს უპირატესობა ლამის სეტის ბოლომდეც მიიყვანა და მოგებამდე არც არაფერი უკლდა, მაგრამ აქ ჯოკოვიჩი მაინც გამოცოცხლდა და 3:5-დან საქმე ტაიბრეიკამდე მიიყვანა. საჩოგბურთო ლატარიას კი ნოვაკი ყოველთვის დამაჯერებლად თამაშობს ხოლმე და ამ უნარში მისი მჯობნი დღეს ცოტა თუ მოიძებნება. ბალკანელმა ახლაც იყოჩაღა და ნერვების ჯახი თავისი სასარგებლოდ დაასრულა.

თუმც მეორე სეტში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, რადგანაც დავიდენკომ მოახერხა და ტემპს მოუმატა. სერბს კი აშკარად დაღლილობა დაეტყო. აქ ბევრმა გაიფიქრა კიდეც, რომ შეიძლება ნოვაკს ძალები არც ჰყოფნოდა — სეზონის მიწურულს ის შორს დგას ხოლმე საუკეთესო კონდიციებისგან. ეს ეჭვები მას შემდეგ უფრო გაღრმავდა, რაც დავიდენკომ მეორე სეტში გეიმიც კი არ დათმო და მეტოქე ნულზე გაყინა.

სწორედ ამ გადამწყვეტ მომენტში შემოტრიალდა ფორტუნა ჯოკოვიჩისკენ — მესამე სეტი ახალი დაწყებული იყო, რუსს ფეხი რომ ამოუტრიალდა, თან იმდენად სერიოზულად, რომ ექიმის გამოძახება მოუწია. კოლიამ თამაშის გაგრძელება კი შეძლო, მაგრამ ძველებურად სწრაფად ველარ მოძრაობდა, ამით კი მისი უპირატესობა ნიველირებულ იქნა და ისევ თანაბარი ჩოგბურთი გაჩაღდა. საბოლოოდ, ისევ ნერვების თამაში დაიწყო და თითქოს როცა ყველაფერი კიდევ ერთი ტაიბრეიკისკენ წავიდა, სერბმა სწორედ მაშინ ჩაავლო ხელი თავის შანსს, ბოლოსწინა გეიმში ბრეიკი გააკეთა და მატჩის ბედიც საბოლოოდ გადაწყვიტა.

ასე რომ, ჯოკოვიჩი მასტერსის თასზე თვალშისაცემად პროგრესირებს — შარშან თავისი დებიუტისას ჯგუფში სამივე შეხვედრა წააგო, აგერ ახლა კი უკვე ნახევარფინალშია.

მეორე შეხვედრაში კი ხუან მარტინ დელ პოტრო ჟო-ვილფრედ ცონგას დაუპირისპირდა. აქაც თანაბარი ომი იყო, რომელშიც უპირატესობა ხელიდან ხელში გადადიოდა. მართალია, მეჩოგნეებმა გამარჯვებულის ბედი ორ სეტში გადაწყვიტეს, მაგრამ სამაგიეროდ ორივეში საქმე ტაიბრეიკამდე მივიდა.

ფავორიტად ფრანგი მიიჩნეოდა, მაგრამ დელ პოტრომ წლეულს არა ერთხელ დაამტკიცა, რომ აღარავის ეპუება და ახლაც სიურპრიზი შემოგვთავაზა. არგენტინელმა განსაკუთრებით კარგად შიღებაზე ითამაშა, რაც ცონგასთვის ნამდვილ მოულოდნელობად იქცა. მართალია, დელ პოტროც ბევრს სცოდავდა, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტებში უკეთ გამოიყურებოდა და ამან მოაგებინა კიდეც.

ასე რომ, არგენტინელისა და დავიდენკოს ხვალინდელი დაპირისპირება დამატებით ინტრიგას იძენს — ისინი ხომ ერთმანეთში გაარკვევენ ოქროს ჯგუფიდან გამსვლელი მეორე ნახევარინალისტის ვინაობას.

**ბახა ლომჯაშვილი**



**ბაჰრეინის ღია პირველობა. მანამა. ბაჰრეინი. 9-15 ნოემბერი**

# ჰენდრის 721-ე



სტივ ჰენდრი

**მსოფლიოს** ექვსგზის ჩემპიონი, ინგლისელი სუპერვეტერანი სტივ დევისი უბრძოლველად გავიდა ბაჰრეინის ღია პირველობის მეორე წრეში, რადგანაც მსოფლიოს ამჟამინდელმა ჩემპიონმა და რეიტინგის ლიდერმა რონი ოსალივანმა არაბეთში ჩასვლა არ ისურვა. თავის მხრივ, არც დევისს უთამაშია მანამაში, რადგანაც, ერთი მხრივ, მას პრემიერლიგის მორიგ ტურში აქვს მონაწილეობა მისაღები და ეგეც არ იყოს, ბაჰრეინში ჩასულმა თავი შეუძლოდ იგრძნო. ამგვარად, უელსელი დომინიკ დეილი, რომელმაც პირველ წრეში ჰონკონგელ მარკო ფუს სძლია, უკვე მეოთხედფინალშია და თანამემამულეების, მეტიუ სტივენსისა და რაიან დეის შეხვედრაში გამარჯვებულს ელოდება.

სტივენმა იოლად, 5:0 მოუგო ინგლისელ სტიუარდ ბინემს, ხოლო დეიმ 5:2 აჯობა ასევე ინგლისელ დეივ ჰეროლდს. ეს ყველაფერი არაბული ტურნირის მეორე სათამაშო დღეს მოხდა, როდესაც პირველისგან განსხვავებით, განთესილებმა ივარგეს და ექვსიდან ხუთი დაპირისპირება თავიანთ სასარგებლოდ დაასრულეს. ერთადერთი გამონაკლისი მსოფლიოს ექსჩემპიონი, ინგლისელი პიტერ ებდონი იყო, რომელიც თავისი თანამემამულისა და ასევე ექსჩემპიონი შონ მერფის დარად, მიმდინარე სეზონში ვერაფრით ახერხებს სარეიტინგო ტურნირებზე თუნდაც ერთი მატჩის მოგებას.

ამჯერად ებდონი ასევე ინგლისელ რობერტ მილკინსთან დამარცხდა 3:5 და ამ წაგებას ვერავის დააბრალებს საკუთარი შეცდომების გარდა.

ავსტრალიელმა ნილ რობერტსონმა მხოლოდ მეცხრე ფრეიმში გატეხა ვაილდ-ქარდ რაუნდში მაქსიმალური, 147-ქულიანი ბრეიკის გამკეთებელი სქოთის, მარკუს კემპბელის წინააღმდეგობა. არადა, ოზი 4:1-ს იგებდა, მაგრამ კემპბელმა ბოლომდე იბრძოლა, თუმც მეორე წრეში მაინც რობერტსონმა გააღწია.

ინგლისელების, ჯო პერისა და როდ ლოულერის შეხვედრაში პერიმ 5:1 იმარჯვა, დღის მშვენება კი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი შოტლანდიელის სტივ ჰენდრისა და წლევანდელი შანხაის მასტერსის სენსაციური გამარჯვებულის, რიკი უოლდენის მატჩი იყო. უოლდენის 120-ქულიანი ბრეიკს ჰენდრიმ 139-ქულიანი სერიით უპასუხა და შესვენებაზე სნუკერისტები 2:2 ანგარიშით გავიდნენ. ამის შემდეგ სტივმა კიდევ ერთი ასქულიანი (კარიერაში 721-ე!) ბრეიკი გააკეთა, მაგრამ უოლდენმა ისევ აღადგინა თანაფარდობა — 3:3. ბოლოს მაინც გამოცდილებამ იძალა — ჰენდრიმ ზედიზედ ორი ბრეიკი მოიგო, შეხვედრაში 5:3 იმარჯვა და მეორე წრეში ნაკლებად ცნობილ ინგლისელ ბარი პინჩსზე გავიდა.

NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჰოვარდის უეკლო ვარდობა

10 ნოემბერი

**ინდიანა 107:99 ოკლაჰომა**

ინდიანა: ფორდი (24 ქულა, 10 პასი, 7 მოხსნა), გრეინჯერი (20)
ოკლაჰომა: დურანტი (37), გრინი (14)

**ორლანდო 99:106 პორტლენდი**

ორლანდო: თურქოღლუ (35), ჰოვარდი (29 ქულა, 19 მოხსნა)
პორტლენდი: როი (27), ბლეიკი (20), აუთლოო (20), ოლდრიჯი (16 ქულა, 11 მოხსნა), ფერნანდესი (16)

**მაიამი 99:94 ნიუ ჯერსი**

მაიამი: ვეიდი (33), ბისლი (19)
ნიუ ჯერსი: ძიანლიანი (24 ქულა, 10 მოხსნა), კარტერი (22), დულინგი (18)

**ბოსტონი 94:87 ტორონტო**

ბოსტონი: პირსი (36), გარნეტი (21 ქულა, 10 მოხსნა), ალენი (19)
ტორონტო: ონილი (23 ქულა, 11 მოხსნა), პარკერი (15)

**ფინიქსი 107:102 მემფისი**

ფინიქსი: ბარბოსა (27), სტუდემაიერი (18)
მემფისი: მაიო (33), გაი (20), გასოლი (15)

მორიგი, თუმც ალბათ ყველაზე ხმამაღალი სიტყვა თქვა „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა“, რომელმაც წლეულს გასვლაზე პირველი გამარჯვება მოიპოვა, ამასთან აღმოსავლეთის ერთ-ერთ ამბიციურ გუნდთან „ორლანდო მეჯიქთან“. ნეიტ მაკმილანის შეგირდებს, ერთი შეხედვით, მიზერული შანსი ჰქონდათ. მასპინძლებს ხომ უძლიერესი ცენტრი დუაიტ ჰოვარდი ჰყავთ, „პორტლენდს“ კი შარშანდელი დრაფტის პირველი ნომერი, 213-სანტიმეტრიანი გოლიათი გრეგ ოდენი ისე დაემტვრა, რომ ხეირინად ვერც გამოცადა საქმეში.

ჰოვარდმა მართლაც ბდღვირი ადინა სტუმრებს ფარზე, 29 ქულა და 19 მოხსნა მოქაფა და მასზე არანაკლებ იბობოქრა „ჯადოსანთა“ თურქმა ფორვარდმა ჰედო თურქოღლუმ, მაგრამ დასავლელებმა ყველაფერს გაუძლეს და დამხვდურებს შეტევაში კარგი თამაში დაუპირისპირეს. ერთბაშად ოთხმა მათგანმა მოირეწა სულ ცოტა 16 ქულა და მათ შორისაა ესპანელი რუდი ფერნანდესიც, რომელიც მშვენივრად თამაშს განაგრძობს და ვერც იტყვი, რომ ახალბედაა, საშუალოდ 14,0 ქულას აგროვებს.

ჩემპიონმა „ბოსტონმა“ შინ სძლია საშუალოებს აგერ, მერამდენე წელია, ვერგაცილებულ „ტორონტოს“. „კელტების“ ვეტერანთა სუპერტრიომ ალბათ საუკეთესო ერთობლივი მატჩი ჩაატარა. გარნეტმა, პირსმა და ალენმა ჯამში 76 ქულა მოიხვეჭეს და პირველი ტაიმის 12 ქულით წაგების შემდეგ შემოუტრიალეს თამაში კანადურ გუნდს, რომელშიც ყველაზე მეტად ტრავმებგადატანილი ვეტერანი ჯერმენ ონილი გამოირჩა.

კიდევ ერთი კარგი თამაში გამოაცხო ამა წლის დრაფტის მესამე ნომერმა, „მემფისის“ ლიდერად მეყსეულად ქცეულმა ოჯეი მაიომ, თუმც მისი 32 ქულა საკმარისი არ აღმოჩნდა ღონიერი „ფინიქსის“ გასატეხად.

**ირაკლი ფირაშვილი**

# კვირის მოთამაშეები

## აღმოსავლეთი

**ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი)**



## დასავლეთი

**ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)**



გაილია მეორე კვირა და რჩეულთა დასახელების დრო დადგა. აღმოსავლეთში საუკეთესოდ, გაუსაჩივრებლად დასახელდა „კლივლენდ კავალიერზის“ გული და ძრავი ლებრონ ჯეიმსი, ვისაც პირველი კვირა გასახურებლად დასჭირდა, მეორეში კი სრულიად დაემსგავსა საკუთარ თავს და გუნდს ოთხივე თამაში მოაგებინა, რომლებშიც საშუალოდ 34,5 ქულა აკეთა. ლებრონმა გაიბრწყინა „ჩიკაგოსთან“ ორ შეხვედრაში — ერთშიც და მეორეშიც წინასწარ დაგეგმილივით 41-41 ქულა გააკეთა და ამ გამარჯვებებით „კავალერია“ შესამჩნევად წასწია და ცენტრალერ დივიზიონში გააპირველა.

დასავლეთის რჩეული კი „ფინიქს სანზის“ 208-სანტიმეტრიანი დაუკავებელი ცენტრი ამარე სტუდემაიერია, ვინც არიზონელებს ოთხი თამაშიდან სამი მოაგებინა და საშუალოდ 28,3 ქულა, 7,0 მოხსნა და 30 პასი აკეთა. ამარემ საუკეთესო თამაში ჩაატარა „ინდიანასთან“, როცა თამაშიდან 21 სროლიდან 17 ჩააგდო და 15 საჯარიმოდან ერთიც არ აუცილებია, რის შემდეგაც შეხვედრა 49 ქულით დაასრულა.

**კვირის სიმბოლური ხუთეული („სარბიელის“ ვერსია):** ჯო ჯონსონი (ატლანტა), რეი ალენი (ბოსტონი), ლებრონ ჯეიმსი (კლივლენდი), კარლოს ბუზერი (იუტა), ამარე სტუდემაიერი (ფინიქსი)



NHL რეგულარული ჩემპიონატი

10 ნოემბერი

**რეინჯერსი 2:3 ედმონტონი**

*0:1 1:1 1:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 კოუპი (4), 0:2 ბროძიაკი (24), 1:2 მარა (29), 2:2 დრური (41)

**ვაშინგტონი 4:2 ტამპა**

*3:0 0:1 1:1*

1:0 პოტი (9), 2:0 გრინი (10), 3:0 ფერი (17), 3:1 რობერტსი (37), 4:1 ოვეჩკინი (56), 4:2 რობერტსი (60)

| აღმოსავლეთი | I | II | III | IV | V | VI |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ატლანტიკი** | | | | | | |
| რეინჯერსი | 18 | 11 | 2 | 5 | 47:40 | 24 |
| პიტსბურგი | 14 | 8 | 2 | 4 | 41:36 | 18 |
| ნიუ ჯერსი | 14 | 7 | 2 | 5 | 37:35 | 16 |
| ფილადელფია | 13 | 4 | 3 | 6 | 45:47 | 11 |
| აილენდერსი | 14 | 4 | 2 | 8 | 37:49 | 10 |
| **ჩრდილო-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ბოსტონი | 14 | 8 | 3 | 3 | 42:34 | 19 |
| ბუფალო | 14 | 8 | 3 | 3 | 43:33 | 19 |
| მონრეალი | 12 | 8 | 2 | 2 | 43:34 | 18 |
| ტორონტო | 15 | 6 | 4 | 5 | 47:54 | 16 |
| ოტავა | 14 | 6 | 2 | 6 | 38:35 | 14 |
| **სამხრეთ-აღმოსავლეთი** | | | | | | |
| ვაშინგტონი | 14 | 8 | 2 | 4 | 43:41 | 18 |
| კაროლინა | 15 | 8 | 2 | 5 | 43:45 | 18 |
| ტამპა | 14 | 5 | 4 | 5 | 31:38 | 14 |
| ატლანტა | 15 | 6 | 2 | 7 | 45:55 | 14 |
| ფლორიდა | 14 | 5 | 1 | 8 | 31:43 | 11 |

| დასავლეთი | I | II | III | IV | V | VI |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ცენტრი** | | | | | | |
| დეტროიტი | 13 | 9 | 2 | 2 | 47:40 | 20 |
| ჩიკაგო | 13 | 7 | 3 | 3 | 48:35 | 17 |
| კოლუმბუსი | 15 | 7 | 2 | 6 | 46:49 | 16 |
| ნეშვილი | 14 | 6 | 1 | 7 | 44:50 | 13 |
| სენტ ლუისი | 13 | 5 | 1 | 7 | 41:45 | 11 |
| **ჩრდილო-დასავლეთი** | | | | | | |
| ვანკუვერი | 15 | 9 | 0 | 6 | 48:38 | 18 |
| მინესოტა | 13 | 8 | 1 | 4 | 33:28 | 17 |
| ედმონტონი | 15 | 8 | 1 | 6 | 39:44 | 17 |
| კალგარი | 16 | 8 | 1 | 7 | 47:53 | 17 |
| კოლორადო | 14 | 6 | 0 | 8 | 39:45 | 12 |
| **წყნარი ოკეანე** | | | | | | |
| სან ხოსე | 16 | 13 | 0 | 3 | 54:38 | 26 |
| ანაჰაიმი | 17 | 9 | 1 | 7 | 52:54 | 19 |
| ფინიქსი | 13 | 7 | 0 | 6 | 33:32 | 14 |
| ლოს ანჯელესი | 13 | 5 | 2 | 6 | 35:36 | 12 |
| დალასი | 14 | 5 | 2 | 7 | 41:54 | 12 |

*I გრაფა — თამაში; II — მოგება; III — ოვერტაიმში წაგება; IV — წაგება; V — შაიბების სხაობა; VI — ქულა*

# ლუონგოს კვირა

**გასულ** სათამაშო კვირას ნჰლ-ში მეკარეების ნიშნით ჩაუვლია. ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობენ ლიგის ის მესვეურები, ვისაც ყოველი შეიდღეულის საუკეთესო მოთამაშეების დასახელება ევალებათ — ამჯერად გასული კვირის სამივე ვარსკვლავი კარის დარაჯებს ერგოთ.

კიპერთა დავაში საუკეთესოდ „ვანკუვერის“ სუპერ-მეკარე რობერტო ლუონგო დასახელდა. სეზონის დაწყებამდე გუნდის კაპიტნად არჩეული (რაც ნჰლ-ში ძალზედ იშვიათი მოვლენაა) იტალიური წარმოშობის ეს კიპერი სასტარტო მატჩებში არცთუ სახარბიელოდ გამოიყურებოდა, მაგრამ თანდათანობით ფორმაში შედის და ნებისმიერი შეტევის უმთვარეს თავის ტკივილს წარმოადგენს.



რობერტო ლუონგო

გასულ კვირაში კი „კენექსის“ მეკარემ საერთოდ ფანტასტიკური სერია გამოაცხო და ჩატარებულ სამ მატჩში კინკილა შაიბაც კი არ გაუშვია. ლუონგოსგან თანმიმდევრობით იზარალეს „ნეშვილმა“, „ფინიქსმა“ და „მინესოტამ“, თავისი კიპერის ამ სასწაული თამაშით ფრთაშესხმული „ვანკუვერი“ კი დივიზონს ჩაუდგა სათავეში.

თავისთავად გაუმჯობესდა ლუონგოს სეზონური მაჩვენებლებიც — წლეულს ის საშუალოდ 2,34 შაიბას უშვებს და მისი კარისკენ დარტყმულის 92 პროცენტს იგერიებს. თანაც რობერტომ უკვე ხუთი შატაუტის გაკეთება მოასწრო, რაც მართლაც გონების დამბინდავი მაჩვენებელია.

კვირის მეორე ვარსკვლავის ტიტული „კოლამბუსის“ 20 წლის ახალბედა კიპერმა სტივ მეისონმა გაინაღდა, ვისი წყალობითაც „კოლუმბუსმა“ წინა კვირას სამივე შეხვედრაში იმარჯვა, თავად ახალგაზრდა კიპერი კი საშუალოდ მხოლოდ 2,06 შაიბას უშვებდა და მისი კარისკენ დარტყმულის 90,7 პროცენტს იგერიებდა.

კვირის მესამე ვარსკვლავობა კი „ვაშინგტონის“ სათადარიგო მეკარე ბრენტ ჯონსონს ერგო. თუმც თადარიგში ის შეიძლება აღარც დაბრუნდეს — ზაფხულში ნაყიდი ჟოზე ტეოდორი აშკარად ვერ ამართლებს, ხოლო ჯონსონმა ისევე თუ გააგრძელა თამაში, როგორც გასულ შვიდღეულში, დიდი შანსია პირველ მეკარედ სწორედ ის იქცეს.

თუმც ეს მომავლის საქმეა, ჩვენ კი ჯონსონის უკვე ჩადენილ გმირობებს მივუბრუნდეთ — გასულ კვირას მან სამ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და ორში მოაგებინა თავის გუნდს. თანაც დედაქალაქელებმა ის მარცხიც მხოლოდ ოვერტაიმში განიცადეს და ქულა იქაც აიღეს. თავად ჯონსონი კი ამ სამ შეხვედრაში საშუალოდ 1,63 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 95,3 პროცენტს იგერიებდა.

**ბაჩა ლომჯარიძე**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულდიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი, გიორგი არაბული
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოღუნჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge